# სახალხო გაზეთი

№ 923 ხუთშაბათი, 20 ივნისი 1913 წ. № 923

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირებს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი მკათათვიდან წლის დამლევამდი, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 4 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.



ახალი კლუბი
(საზაფხულო თეატრი)

ხუთშაბათს, 20 ივნისს, ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა მიერ ვ. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I) აყალ-მაყალი ცოლ-ქმარ შუა, ვოდევ. 1 მოქ.

II) დ ა ვ ა მესამე მოქმედ.

მონაწილეობენ ქ-ნი მანუჩარიანი და ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გუნია, მესხი, მგალობლიშვილი, მატარაძე, აბდუშელი. ✦ დასაწყისი საღამოს 9 ს. თეატრის დარბაზში შესვლა წარმოდგენაზე უფასოა. წარმოდგენის შემდეგ ცეკვა დაუკრავს სამხედრო ორკესტრი. 1358





პირველ-ხარისხოვანი
დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.
მხოლოდ ძმ. ესიკოვსკების ცირკს შეუძლიან იმის ჩვენება, რაც სხვებს არას დროს არ შეეძლებათ!

დღეს, 20 ივნისს, 1913 წ.
გაიმართება
საგანგებო წარმოდგენა.
ნონ-პლიუს-ულტრა.

უკანასკნელი გასტროლი ტფილისელებისათვის საყვარელი ბულგარელ მოჯირითე ქალის თამარისა, რომელმაც თავბრუ დამსხმელი ჯირითისათვის მისმა უმაღლესობამ ბუხარის ემირმა ოქროს მედალი უბოძა. გამოჩენილი კორდე-ბალეტის გასტროლი, რომელიც მოწვეულია პრი ა ბალერინის ალექსისაგან უკანასკნელი გასტროლი ცირკის [illegible] ბ. ადოლფისა, რომელიც „ელვა-კაცად" ნაწოდების არის. დღესვე მონაწილეობას იღებს ტფილისელთა საყვარელი კომიკ-მასხარები ძმ ვიგენცოვები. მონაწილეობს გამოჩენილი სალტო მორტალისტი ჯოზეფი.

ამურის თავგადასავალი, კულინარისა.

დასაწყ. საღ. 8 ს. დირექცია ძმ. ესიკოვსკები,
378 გამგე ლ. მ. ხუნდაძე.



სამკურნალო ტალახი
„ახტალა"

(ტფილისის გუბერნ., სიღნაღის მაზრა, სოფ. გურჯაანში).
სეზონი იწყება 15 ივნისს, თავდება 20 აგვისტოს.
მკურნავს ქარებისა, კანისა (ეგ ზემა, ქეცი და სხ., ნერვებისა და სხვა ავადმყოფობებს.
იქვე შეიძლება შოვნა ბინებისა, მოწყობილობილობით. ფასი მთელი სეზონით სულზე 2 მან., ბავშვები უფასოდ. სოფელში არის ქსენონი და ექიმი.
ცნობებისათვის მიმართეთ: (წერილობით ან პირადათ): ტფილისში, ველიკოკნიაზის ქ., № 15, გენერ. თ-დ მაყაშვილს; ადგილობრივ კი ტალახების გამგეს. 1353



ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი ვ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მალალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12—. ს.<br>ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1<br>ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. სამ., ხუთ., შაბ. 11—12 |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტატი ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი | ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირადოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1.<br>სულაკოვი ა. ი. ყოველ დღე —1. |
| ბავშვთა სნეულ. | ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—$1^1/_2$<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12—1<br>ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | გედევანიშვილი. მ ა. შაბათობით 0—1.<br>ჯავახიშვილი ნ. ნ. ოთხშაბ, პარას. და კვირას 11—12<br>ფონდოევი გ ს. ყოველ დღე 1—2 |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$.<br>ორემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე $1^1/_2$—2. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი ვ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რხევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035



ბროლის ლიმილი
ი. გრიშაშვილისა
ორი შაური.
ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში ტფილისში და ტფილისს გარედაც. 1359



ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფ. გუბ. თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების წევრთა

წლიური კრება

რომელიც დანიშნული იყო 2 ივნისს 1913 წ., დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო გიმნაზიის სადგომში, გადაიდო 25 ივნისისთვის.

**განსახილველია:** 1) საზოგადოების ანგარიში 1912 წლისა. 2) 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. 3) გამგე კომიტეტის მოხსენება საზოგადოების წესდების შესახებ. 4) მისივე მოხსენება საპენსიო წესდების შესახებ. 5) ქალთა სკოლის ინსტრუქცია. 6) პედაგოგიური და ადმინისტრატიული კითხვები. 7) ამორჩევა იმ წევრებისა, რომელნიც თავს ანებებენ თავიანთ თანამდებობას ვადის გასვლამდე.

თუ საზოგადო კრება 25 ივნისს არ შესდგა, კრება ინიშნება ორი კვირის შემდეგ. 1190



ექ ვ. დ. ლამბაშიძის
სანატორიუმი და საზაფხულო სამყოფი
პატარა-ცემი
გაიხსნება 15 თიბათვეს—31 მარიამობისთვემდე.
მისამართი ფოსტით: ტფილისი, ექ. ვ. დ. ლამბაშიძეს. 299



სამკურნალო
სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ყურის, ცხვირის და ყელის ავადმ., ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
**არღუთინსკი,** ბავშ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—$11^1/_2$ ს.
**ა. ხუდაბაშევი** ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე —3 ს.
**ბოგუსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ, და პარასკ. 4—5 ს.
**ვორობიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ. შაბ და კვირ. 4—5 ს.
**გ. ნ. გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.
**ბალდოევი.** ქირურ. ყ.-დღე 3—5 ს.
**ერმოლაევი** -ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1—2 ს.
**ექ. ქალ იოსელიანი.** ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.
**კალამკაროვი.** ბებია, ქალური სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.
**ლიმონი.** კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.
**ხაიდანოვი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.
**ნოვიცკი.** ქალური. და ს ბების ავადმ. ყოვ.-დღე 1—2 ს.
**ტ. ი. რუდენკო.** შინაგან სნეულ. კონსულტატი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.
**ა. ა ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.
**ჩუდნოვსკი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა; $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.
**შამაში,** სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.
**სუროვცოვი.** შინაგანი ბავშვ. 3 4 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserman"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.



ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ $9^1/_2$ ს. 0 ს.
**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1 1/2 ს
**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11— $1^1/_2$ ს.
**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11^1/_2$ ს.
**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
**ვ. ვ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რხევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

აწამლობ „606"-ით 1053



გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს., **ხემიონოვის ქ.**, № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—ხემიონ. ქ., № 16. 1159



ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 324



საზურთალოზე
მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ცივიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220



ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახ მაქარაშვილისა.



ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **გახსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. ძოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელისაბედ. ქ.**, № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. კირდაპირ. 102



ექიმი შ. ა. მიქელაძე.

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 6 ნახ.—8 ნახ. საათ. კათის ქ., № 6.



ექიმი ივ. გომართელი

პირველი ივნისიდან პირველ ენკენისთვემდე ავადმყოფებს მიიღებს **ბორჯომში.** აგარაკი მირზოევისა. 307.



ექიმი ე. ი. მინასიანცი

იღებს **აბასთუმანში.** შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლ. ულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ბლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. მისამართი: აბასთუმანი ტერ-მარქაროვის აგარაკი.


## სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერ. სააგენტო)

**18 ივნისის სხდომა**

თავმჯდომარეობს თავ. **ვოლკონსკი.** შემოტანილ საქმეთა შორის არის მიმართვა კავკასიაში მეფის მოადგილის მიმართ, იმის შესახებ თუ რა ღონისძიებანი იქნება მიღებული დაღესტნის ოლქის ზოგიერთ კუთხეში შიმშილობის წინააღმდეგ. უკამათოდ მიღებულია 26 კანონ-პროექტი, მათ შორის შესახებ ჯამაგირის გადიდებისა სამოქალაქო ექიმითათვის, სამოქალაქო კომისიის ფორმულით, რომელშიაც გამოთქმულია სურვილი, რომ მალე იქნეს შემოტანილი კანონ-პროექტი შესახებ საექიმო-სასანიტარო ნაწილის რეფორმისა.

**კოვალევსკი** მოახსენებს სახალხო განათლების კომისიის დადგენილებას, რომელშიაც არის გამოთქმული სურვილი, რომ შეტანილი იქნეს კანონ-პროექტი შესახებ იმისა, რომ სახალხო განათლების უწყებასთან დაარსებული იყოს განსაკუთრებული დეპარტამენტი—დაბალ განათლების საქმეთა.

**მინისტრის ამხანაგი** ბარონი ტაუბე: აცხადებს რომ ასეთი დაწესებულება არამც თუ სასურველია არამედ აუცილებელი. სამინისტრომ წელიწად ნახევრის წინ შემოიტანა პროექტი სამინისტროს დაწესებულებათა რეფორმისა და მაშასადამე თუ კომისიის წინადადება მიიღეთ მაშინ ფორმულურად უნდა გამოვყოთ ნაწილი საერთო რეფორმიდან [illegible] ნებს, რომ მინისტრთა საბჭოს ამ მოკლე ხანში ექნება ლაპარაკი კომისიისგან გამოტანილ აზრის შესახებ.

**კავალევსკი** ამბობს, რომ რადგანაც ფორმალურად არ მომხდარა თანხმობა სათათბიროსა და სამინისტროს შორის შესახებ სამინისტროს დაწესებულებების რეფორმის კანონ-პროექტის შედგენისა, ამიტომ საჭიროა კომისიის წინადადება მიიღონ.

სათათბირომ მიიღო კომისიის დადგენილება

**როსტორგუევი** მოახსენებს სათათბიროს შესახებ დონის ბასეინში ნახშირის საცდელ სადგურის აშენებისა.

კენჭის ყრის დროს გამოირკვა, რომ დარბაზში არ იყო კანონიერი რიცხვი წევრებისა სხდომის შეწყვეტის შემდეგ კანონ-პროექტი მიიღეს სააუჯეტო კომისიის რედაქციით. განსახილველია სავაჭრო სამინისტროს კანონ-პროექტი, რომლითაც უნდა მოესპოს კერძო ოქროს მრეწველებს თავისუფალი მიწების მიცემა. სავაჭრო კომისია წინადადებას იძლევა კანონ-პროექტი უარყოფილი იქნეს, საფინანსო კომისიას კანონ-პროექტი მისაღებად მიაჩნია. კანონ-პროექტის მიღების მომხრენი არიან **ლვოვი 3-ე, მარკოვი 2-ე** და მინისტრის ამხანაგი **კონოვალოვი,** წინააღმდეგ მიღებისა ლაპარაკობენ **ვოსტროტინი სტეპანოვი,** დალგატი.

კანონპროექტი მიღებულია.

კამათი შეიქნა რუს გადმოსახლებულთათვის „მშიერველი"-ს სამარკანდის ოლქში მიწის მიცემის შესახებ. კამათში მონაწილეობას იღებენ გრაფი **კაპნისტი 2, ლაშკევიჩი, გოლკოვი, შჩეპკინი, მარკოვი 2-ე, შუბინსკი, დალგატი, ენიკეევი, ვინოგრადოვი, კალინინი,** გადმომსახლებელ უწყების გამგე და გრაფი **კაპნისტი.** უკანასკნელი მოითხოვს, სხვა ერების უფლების შეზღუდვას დასახლების დროს, რადგანაც რუსის ფულით გაუმჯობესებული მიწები არ უნდა იქნეს დასახლებული არა-რუსებით. ამის გამო **კაპნისტს** შემოაქვს ფორმულა, რომლის მიხედვით დასახლების უფლება აქვთ მხოლოდ ქრისტიან რუსის ქვეშევრდომებს. მიღებულია გადმომსახლებულ კომისიის ფორმულა, რომელიც მოითხოვს „მშიერ ველზე" დასახლებულებს სამეურნეო დახმარება უნდა აღმოუჩინოთ და უნდა განვითარდეს ამ მხარეში ვიწრო კრედიტის დაწესებულებანი. მიღებულია 19 კანონ-პროექტი, მათ შორის ამურის, უსურიის და სემირეჩინსკის ყაზახებისათვის მიწის დარიგებისა; შესახებ: კერჩენიკალის არხის გაღრმავებისა; კიევში, მოსკოვში და ოდესაში სამეცნიერო-სამოსამართლო ექსპერტიზის ინსტიტუტის დაარსებისა; აკმოლინსკში და სემიპალატინსკში სამოსამართლო პალატის დაარსებისა და ამ ადგილებში ბრალმდებელთა რიცხვის გამრავლებისა. ამასთანავე მიღებულია ფორმულა **ვოლკოვისა,** რომლის მიხედვით ციმბირში, მოთხოვნილების მიხედვით, სამოსამართლო დაწესებულება უნდა გამრავლდეს იქნეს და საგამომძიებლო ნაწილი უნდა გამოეყოს სამომრიგებლო-სამოსამართლო დაწესებულებიდან.

სამხედრო მინისტრის მოხსენების წაკითხვის შემდეგ, რომლითაც მინისტრი ითხოვდა ხარჯთ-აღრიცხვის 17 მუხლის მიხედვით ორ მილიონს პოდპრაპორშჩიკებისათვის მისაცემად, სათათბირომ დააკმაყოფილა მინისტრის მოთხოვნა და ეს ფული აკისრა ხაზინას. ამასთან სათათბირომ მიიღო ფორმულა, რომელშიაც გამოთქმულია, რომ მინისტრმა ეს თანხა მოითხოვა ზემოაღნიშნულ მუხლის ძალით არა იმიტომ, რომ საქმის აუცილებელი მოთხოვნილება იყო, არამედ მინისტრს საერთო ხარჯთ-აღრიცხვის დროს დაავიწყდა ამ თანხის საერთო ხარჯთ-აღრიცხვაში [illegible] დოვნებს, რომ ასეთი მოვლენა აღარ განმეორდება.

იმ კანონ-პროექტის შესახებ რომელიც მოითხოვდა ირკუტსკისა და „სტეპნოი" საღენერალ-გუბერნატოროებში ტომსკის გუბერნიაში და ურალის ოლქში სამაზრო ექიმების თანამდებობის აღდგენას, სათათბირომ მიიღო ფორმულა, რომელთაც აუცილებლად მიაჩნია, რომ მთავრობამ მოკლე დროში გადაათვალიეროს ექიმთა ჯამაგირების დებულება და ამ ჯამაგირების გასადიდებლად შემოიტანოს დასამტკიცებლად შესაფერისი კან.-პროექტი. იმ კანონ-პროექტის განხილვის დროს, რომელიც შეეხებოდა ბელებეევის მაზრაში მეორე სამაზრო ექიმის თანამდებობის დაარსებას, სათათბირომ მიიღო ფორმულა, რომელშიაც გამოთქმულია, რომ ექიმთა რიცხვი იმპერიაში ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებას; უმაღლესი საექიმო სასწავლებლების რიცხვი საკმარისი არ არის იმპერიისათვის და ამიტომ აუცილებლად სთვლის სათათბირო, რომ მთავრობამ მოკლე ხანში შემოიტანოს კანონ-პროექტი, რომლის მიხედვით უნდა დაარსდეს 4 საექიმო ფაკულტეტი და აგრეთვე აუცილებელია სამაზრო ექიმების რიცხვის გამრავლება იქ, სადაც ამის მოთხოვნილება იქნება. სასურველად აღიარებულია კიევში შეძენილი იქნეს პეტროვსკის მამული. ამ მამულს აქვს დიდი არქეოლოგიური მნიშვნელობა რადგანაც მდებარეობს წმიდა ვლადიმირის ქალაქში, უძველეს კიევის სამი ქალაქის ადგილას. დატოვებულია შეუწყნარებლად წარმოდგენილი სავაჭრო სამინისტროსაგან და მინისტრთა საბჭოსაგან დამტკიცებული 17 სამეტო მუხლის მიხედვით თანხათა გაცემა ნებობითი ფლოტის წავების დასაფარავად, ნიჟნე ტაგილსკის ქარხნების მუშებისა და მოსამსახურეების დასაკმაყოფილებლად და სხვა საჭიროებათათვის ამ ქარხნების მოქმედებისათვის სულ 500.000 მან. ნუსხის აღმასრულებელმა კომისიამ ვერ იპოვა საბუთები, რომლის ძალითაც ამ შემთხვევაში მე-17 მუხლით ემძლვანელებინათ. შემდეგი სხდომა პარასკევისათვის დაინიშნა.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **მხცოვანი მგოსანი აკაკი** 18 ივნისს საჩხერიდან ტფილისს ჩამოვიდა, სადაც რამდენსამე დღეს დაჰყოფს.

✦ პეტერბურგიდან გვატყობინებენ, რომ იქაურ ქართველებს შორის განსვენებულ, **არჩილ ჯორჯაძის** ძეგლის ასაგებად შეუგროვებიათ 626 მანეთი.

✦ **პოლიტეხნიკუმი.** საუწყებათაშორისო კომისიამ, რომელმაც პოლიტეხნიკუმის ადგილი უნდა აირჩიოს, 18 ივლისს დაწვრილებით დაათვალიერა ჯერ საპურთალოს მიწა, რომელსაც თავად-აზნაურობა სწირავს და შემდეგ ნავთლუღის მიწა, რომელიც ქალაქმა შესწირა. დათვალიერების შედეგს ჯერ-ჯერობით საიდუმლოდ ინახავენ. გუშინ საუწყებათაშორისო კომისიას მეფის მოადგილის საბჭოს დარბაზში მეორე კრება ჰქონდა.

✦ **ირ. ევდოშვილის** ნაწარმოებთა გამოცემა. „ახალ კლუბის" მამასახლისთა საბჭოს განზრახვა აქვს, მოკლე ხანში პოეტის ირ. ევდოშვილის ნაწარმოებთა სრული კრებული გამოსცეს.

✦ **გუბერნატორი** ა. გ. ჩერნიავსკი, რომელიც ბორჯომს იყო წასული, ტფილისს დაბრუნდა.

✦ **პოლიტეხნიკუმის** ადგილის ამრჩევ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად ტფილისს ჩამოვიდა ბაქოს ქალაქის მოურავი ლ. ლ. ბიჩი.

✦ **ფილოქსერასთან ბრძოლა.** საფილოქსერო დასები კახეთს ჯერ-ჯერობით კიდევ არ წასულან, რადგანაც მევენახეობისა და მეღვინეობის საგუბერნიო კომიტეტს დღემდე მიწათ-მოქმედების დეპარტამენტისაგან დასთა შესანახი ფული მიღებული არა ჰქონდა. ახლა კომიტეტმა უკვე მიიღო საჭირო ფული—14,000 მან. და დასები ფილოქსერასთან საბრძოლველად ამ დღეებში გაემგზავრებიან.

✦ **მინდვრის თაგვი.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სტატისტიკო ბიუროს სწერენ: დიდის სიცხეებისა და უწვიმობის გამო მთელი ალაზნის ველი (სიღნაღის მაზრა) სულ გახმა და იქ მრავლად მინდვრის თაგვი გაჩნდა. ნათესებისა და ბალახის მოსავალი ძალიან მცირეა მოსალოდნელი. ასეთივე ბედი ელის შირაქის ველს.

✦ როგორც გადმოგვცეს, „ახალი კლუბის" საბჭოს უარი უთქვამს ქართულ კულტურის მოყვარულ საზოგადოებისთვის კონცერტის მოწყობის შესახებ, ეს მაშინ, როდესაც პლაკატები უკვე დაბეჭდა და გაზეთებმაც ამცნო საზოგადოებას ეს ამბავი. ვერ გაგვიგია კლუბის საბჭოს ასეთი უარი.

✦ **საბირჟო ცნობები.** 19 ივნისს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ 85 მ. 50 კ., აძლევენ—84 მან., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მ. 25 კ., აძლევენ—82 მან. 75 კ. და ქუთაისის სათავ.-აზნაურო საადგილ-მამულ. ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—81 მ. 20 კ., აძლევენ—80 მ. 30 კ.

✦ მცოდნე პირებმა გადმოგვცეს, რომ უმაღლეს მთავრობისათვის უკვე წარუდგენიათ მოხსენება იმის შესახებ, რომ ახალქალაქის მაზრა ტფილისის გუბერნიას გამოეყოს და ერევნისას მიეწეროს.

✦ **შემწეობა.** ამას წინად ახალ კლუბის წევრთა საერთო კრებამ 300 მან. გადასდო „განათლების" საზოგადოების სასარგებლოდ. ეს ფული კლუბის მამასახლისთა საბჭომ დანიშნულებ სამებრ ამ დღეებში გადასცა.

✦ **ხორცის ახალი ნიხრი** გუბერნატორმა დაამტკიცა და გუშინდლიდან ძალაში შევიდა. გირვანქა ხორცი ღირს: ბატკნისა—18 კ., ცხვრისა—16 კ., ძროხისა—14 კ. და კამეჩისა—8 კ.

✦ **დღეს,** 20 და ხვალ, 21 ივნისს მუშტაიდის ბაღში „სახალხო გასართობთა საზოგადოება" ჰმართავს **დიდ სეირნობას** ვერაზე სახალხო აუდიტორიის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად.

✦ **ნაძალადევის გამშვენიერება** ქალაქის ტეხნიკოსის აბესალომოვის გამოანგარიშებით სუნჯენის ხევის (ნაძალადევშია) მოსაწესრიგებლად საჭიროა 25,714 მან. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ამ საქმისთვის ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვაში ყოველ წლივ 6,000 მან. შეიტანოს ხოლმე. ხევის მოწესრიგების საკითხი პირველად ხმოსანმა ქობულაშვილმა აღძრა.

✦ **ექსკურსია.** კვირას, 23 ივნისს დილის რვა საათზე, ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა საეკონომიო საზოგადოების წევრნი თავიანთ ოჯახობით ტფილისიდან ავჭალას მიემგზავრებიან, სადაც დაათვალიერებენ წმ. გიორგის მონასტერს. ფასი თვითეულზე-1 მან. 30 კ. (ამაში შედის საჭმელ-სასმელი და გზის ხარჯი.)

✦ **რომანოვთა გვარეულობის** 300 წლის მეფობის აღსანიშნავად ქალაქს გადადებული აქვს 30,000 მ. ამ ფულით დასაფასებელი გადასახადი უნდა ეპატივოთ ქალაქის ღარიბეს მცხოვრებთ. ფულის გასანაწილებლად არჩეულია საგანგებო კომისია, რომელსაც ყველა მასალა, საქმის დროზე დასაგვირგვინებლად საჭირო, ხელთ აქვს, მაგრამ კომისია ერთობ აგვიანებს საქმეს. კარგი იქნება, ამ გარემოებას ქალაქის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს.

✦ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ დიმიტრი კუზნეცოვი (ნაძალადევი, ათანასიევის ქ. 29) ძლიერ გაჭირველ მდგომარეობაში იმყოფება: თვითონაც ავადაა, და შვილიც ჭლექით უკვდება საავადმყოფოში. შემოწირულებას მის სასარგებლოდ იღებენ გაზ. Курьер копейки"ს რედაქციაში, პუშკინის ქ.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა: „ტფ. კრუჟოკ"-ს ელექტრონის ენერგია მიეცეს: დღისით 6 კაპ., ხოლო საღამოთი 16 კ. თითო კილოვატი საათში.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების **გამგეობამ** მიიღო განჯის ქართველთა თხოვნა, თხოულობენ განჯაში წ.-კ. საზოგადოების განყოფილების დაარსებას.

### სასწავლებლებში

✦ **ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიის** მერვე კლასის მოსწავლეთ ეგზამენები გაუთავდათ. მერვე კლასში სულ 42 მოსწავლე იყო. ამითში ორს ეგზამენების დაჭერის ნება არ მისცეს. ათი მოსწავლე ეგზამენების დროს ჩაიჭრა და მერვე კლასშივე დასტოვეს. დანარჩენ 30 კაცში ატესტატი ჯერ-ჯერობით არ მისცეს ერთს, რომლის ბედსაც კავკასიის სამოსწავლო ოქის მზრუნველი გადასწყვეტს. სასწავლებელი გაათავა და ატესტატი მიიღო 29 კაცმა. აი მათი გვარები: 1) ავალიანი, 2) არ. ბაქრაძე, 3) ს. ბადურაშვილი, 4) ლ. ბერიძე, 5) ძ. ბრეგვაძე, 6) ი. ბეგიაშვილი, ვ. ბოცვაძე, 8) ა. ბურტიკაშვილი, 9) ვ. გვასალია, 10 ა. გვილესიანი, 11) ბ. დავითაშვილი, 12) მ. ქიშკარიანი, 13) ლ. ყანჩელი, 14) დ. კარბელაშვილი, 15) ფ. კარბელაშვილი, 16) გრ. კორძაია, 17) გ. ყარაშვილი, 18) ნ. მოსულიშვილი, 19) ირ. ლორთქიფანიძე, 20) ნ. ონანაშვილი, 21) მ. ხუხუნაიშვილი, 22) ა. თითბერიძე, 23) გ. ტაბუკაშვილი, 24) ი. ტატიშვილი 25) ა. სტანიშევსკი, 26) შ. ქიქოძე, 27) ლ. კვეზერელი, 28) ე. გაბრიჩიძე და 29) ა. ყარაჯიანცი.

✦ **ქალთა უმაღლეს კურსებს** წელს მიცემული ჰქონდა საერობოთანხიდან 1,834 მან., რომელი ფულითაც კურსებზე ოთხი სტიპენდია უნდა დაარსებულიყო. ეს ფული კურსების ადმინისტრაციას დანიშნულებისამებ არ დაუხარჯს და იმითი კურსების სხვა ხარჯები გაუსტუმრებია. ამის გამო მეფის მოადგილის კანცელარია კურსების ადმინისტრაციას შეეკითხვა, ფული რატომ დანიშნულებისამებრ არ დახარჯეთო.

# სრულიად რუსეთის ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მე-XIII კრება

✦✦ კრების სხ. და სხ. სექცია ენერგიულად მუშაობს. მხოლოდ საინტერესო მოხსენებებს ხშირად ვერ გაიგებს კაცი: ყველაზე მეტი ხალხი დაიარება საექიმო, საბეითლო, და საპედაგოგიო სექციათა კრებებზე. 19 ივნისს წაკითხული იყო საინტერესო მოხსენება მინერალოგიისა და გეოლოგიის სექციის სხდომაზე. პროფესორმა პ. ი. ჩარვინსკიმ წაიკითხა. მოხსენება: „კავკასიის ლითონები". მხოლოდ მომხსენებელი შეეხო ერთს, პატარა მხარეს—ქედაბეკის გორაკს. მოხსენებები წაიკითხეს საექიმო საზოგადოების შეერთებულ სხდომაზე საღამოს 7 საათზე: სკვორცოვმა „კავკასია და კავკასიის მინერალური წყლები პრაქტიკულისა და მეცნიერულის მხრით"; ფუნკენერმა წაიკითხა მოხსენება კავკასიაში სპეციალურ ლაბორატორიის დაარსების შესახებ, სადაც უნდა იკვლიონ სხვა და სხვა აქაური ავადმყოფობა: მალარია, ციებ-ცხელება. და მათი აღმოცენების ნიადაგი. საინტერესო მოხსენებანი წაიკითხეს სახალხო სახლში, სადაც გაიმართა საპედაგოგიო, ფიზიკისა და მათემატიკის განყოფილებათა შეერთებული კრება. ამ კრებას კავკასიის ოლქის მზრუნველი ბ. რუდოლფიც დაესწრო. მოხსენება წაიკითხეს ბ. სინცოვმა და ვოლკოვმა. მათ მოხსენებაში ის აზრი გამოსთქვეს, რომ რუსეთის უმაღლესი სასწავლებელი საშუალო სკოლებს დასცილდა. არავითარი კავშირი არ არსებობს ამ სკოლებს შორის. გარდა ამისა საშუალო სკოლაში სწავლის საქმე ძლიერ ცუდად არის დაყენებული. ეს ხდება იმის გამო, რომ საპედაგოგიო მიზანი გამორკვეული არ არის და აგრეთვე საშუალო სასწავლებლის მასწავლებელნიც ძლიერ მოუმზადებელნი არიან პრაქტიკულად მუშაობისათვის. კრებამ ბ. სინცოვისა და ?. კოლონის წინადადებით შემდეგი სურვილი გამოსთქვა: უეჭველია, რომ საშუალო სკოლა ძლიერ დაშორებულია უმაღლესს. მათს დაახლოვებას ხელს შეუწყობდა უმაღლესი სასწავლებლის პროგრამაში ისეთი კურსების შეტანა, რომელიც საჭიროა მომავალ მასწავლებლებისათვის საშუალო სასწავლებლის კურსში კი საჭიროა უმაღლეს მათემატიკის პირველ-დაწყებითი ცნობების შეტანა. ამ გზას ევროპაში დიდი ხანია დაადგნენ და შედეგებიც შესამჩნევია. კრებამ აგრეთვე მიიღო შემდეგი წინადადება: მიექცეს სახალხო განათლების სამინისტროს ყურადღება უნივერსიტეტში ახლად კურს დამთავრებულ მასწავლებლების პრაქტიკულად მომზადებას.

✦✦ გუშინ, დილის რვა საათიდან კრების წევრების დიდი ნაწილი გაემგზავრა ქალაქის სასალახოების ახალ შენობის დასათვალიერებლად. მსურველნი სამ რიგად დაიყვნენ: დილის 8 საათზე წავიდა პირველი რიგი, 12 საათზე მეორე და საღამოს 5 საათზე მესამე. მათთვის ერევნის მოედანზე ტრამვაის განსაკუთრებული ვაგონები იყო დამზადებული, რომლებიც პირდაპირ ნავთლუღში მიდიოდნენ. განმარტებას აძლევდნენ ქალაქის ინჟინრები და აშენებელი ალაჯანოვი.

✦✦ გუშინ და გუშინ-წინ შიდა რუსეთიდან კიდევ ორასამდე წევრი ჩამოვიდა ტფილისში. ასე რომ, ახლა ტფილისში 3475 მონაწილეა.

✦✦ 21 ივნისს კრების მონაწილენი გაემგზავრებიან [illegible] ქალაქის წყალსადენის დასათვალიერებლად.

✦✦ ქალაქ სოჭამ მე-13 კრების ექიმები მიიწვია ქალაქის საკურორტო პირობების გასაცნობად.

# დღიური

**თამამი ქალი.**

წაიკითხავდით გუშინწინდელ გაზეთში „შეურაცხყოფილი თავადის" ამბავს. ტყუილად მივეცემით ხოლმე ხანდახან მწარე ფიქრებს და უიმედობა გაგვიტაცებს. ტყუილად ვგოდებთ მოდუნებული ცხოვრებისათვის. ტყუილად ვამბობთ „საქართველო განსაცდელშია და არავინაა მისი დამცველიო". შემცდარი ყოფილა ვაება ჩემი და არ ვხედავდი გმირებს, რომლებიც მრავლად არიან თურმე ჩვენში. მათ გულში ცეცხლია ანთებული სიყვარულისა, მათი სული მამულისთვისაა მიძღვნილი და ვაი მას, ვინც ჰბედავს და ოდნავად უპატიურად მოეპყრობა ქართველის სახელსა და დიდებას. მეხი და ქარი დაატყდება თავს, იგემებს ჭირსა და ტირილს და გაუმწარდება დღენი ცხოვრებისანი!

აი განა მაღალი, გმირული, მამულიშვილური არაა საქციელი ცხინვალელ თავადისა, რომელსაც ცხრა წლის ბავშმა წარუხოცელი შეურაცხყოფა მიაყენა აკაკის ლექსის „პატრიოტის" წაკითხვით? პატარა ბალღმა მოურიდებლად, დაცინვით მიაძახა და განუმეორა კიდეც კეთილშობილს მამულიშვილს ასეთი ალხაშფოთებელი სიტყვები:

ჩემისთანა პატრიოტი
განა არის სადმე კიდევ?
გაფრთხილდით, რომ ვერ შეხვდებით;
გინდ მოელახოთ კიდით კიდე.
არტალა და ჩახოხბილი...
მიყვარს მწვადი, ღვინოს ბევრს ვსვამ,
ფლავსაც ხომ ხელითა ვჭამ,
რომ არ მოხვდის ჩანგალს კბილი!
რაც შეჭფერის მამულიშვილს,
ვასრულებ მეც ყველაფერსა,
ჟღურმართის ხმით ვიმღერი
ქართულს მრავალ ჟამიერსა.
მე არაფერს არ ვმუშაობ,
მაგრამ სხვებსაც არ ვაძალებ...
რაც რომ მერგო მამა-პაპის,
[illegible] ვაპრადღებ!

ამ სიტყვების გამგონე თავადიშვილი აღშფოთდა, ზეადღგა, დაიყვირა: მე შეურაცხყოფილი ვარ, როგორც ქართველი და მყისვე

# სამღედიშვილი

**დრამა-პოემა 4 მოქმედებად.**

**მოქმედნი პირნი:**

**მოხუცი ბაბუა.**
**წყალ-მიწა,** )
**ცეცხლანა,** ) სამი დედა.
**ჰაერმანი,** )
**სამდედის შვილი,** შვილი სამი დედისა.
**მდევი-მთავარი.**
I მდევი, მდევ-მთავრის ძმა.
II მდევი, მეორე ძმა.
**მზის-თვალა,** მდევთ მიერ დატყვევებული ქალწული—„უნახი განძი".
**ელნათი,** )
**გაწუკა,** ) ძმები.
**ჩამალა,** )
**ფიქრანი,** )
**ზომელი,** ) ხალხიდან.
**ფრთოსანი,** )
**დანგა,** )
**რქიანი,** ) ბნელეთის მსახურნი.
**კვენჩა,** )
**დარაჯი მთისა.**
**ციური,** ქალი ფერია.
**ხალხი.**
**შიკრიკი.**
**ყმაწვილი.**

მრავალი მსახურნი ბნელეთისა: დარაჯნი, მეომარნი, და სხვა ქმნილებანი უმსგავსო სახისანი; ხილულნი და უხილავნი ბნელეთის ძალნი; ქალი-ფერიები.

### პირველი მოქმედება.

შავი ტყე... უზარ-მაზარი ხეები დიდი ტოტებით ერთი-მეორეზე არიან გადაბმულნი. ბნელა. ტყე იყოფა ორ ნაწილად. აქეთა ნაწილში კიდევ გაარჩევს საგნებს მაყურებელი, ხოლო იქითაში არაფერი მოსჩანს,— სქელი ნისლით დაბურულია. იქ ბნელეთის შავი უკუნი მეფობს.

ხაზი, რომელიც საზღვრავს ერთს ნაწილს მეორისაგან, ხან აქეთ გადმოიწევა, ხან იქით-ბნელეთი ხან აქეთ გადმოცილდება ხაზს თითქო ფრთებს შლისო, ხან შეიკუმშება, თითქო ფრთებს იკვეცს. ასეთს მოძრაობაშია ხაზი, ტყის ორ ნაწილად გამყოფელი-სინათლე-სიბნელის მხრით. ბნელი ნაწილიდან დრო-გამოშვებით ქარი დაჰბერს, მაშინ ტყე დაიშრიალებს:— ხე, ქვა, მიწა შეინძრევიან და რაღაც გამაყრუებელ ხმას გამოუშვებენ. ქარი ამ ხმას შრიალ-ხმაურით ჩაატარებს. ამის შემდეგ სიჩუმე გამეფდება; ხოლო შორს ტყიდან, თითქოს წასულია ქა, რაა გაცოცხლა, ისმის ყრუ ბობოქარი;— [illegible] ხმაურობას იძლევა მთის ადიდებული მდინარე, როცა იგი ნაპირს გადმოსული, ქვა-ქვაზე ახეთქს, ხესა ს ხრის, და თან [illegible], მაღლობები, მდინარის მაღლით დამ[illegible], მირ-გამოღებულნი ეკანებიან მაღლიდან და მდინარეს ერთვიან დიდის ხმაურობით... შორით სწორედ ასეთი ხმაურობა მოისმის. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ტყე ისევ დაიწყებს ღელვას და ქარი წივილ-დებუ[illegible] კვლავ დაიზუზუნებს. ტყის საშინელი შიშის დამცემი გამომეტყველება აქვს. მისი უსაზღვრო შავი სიღრმე მოისხანდა გამოიყურება, და არსებული ხმაურობა თითქო მისი თქმულება, ლაპარაკია. ტყის აღელვებისა და ქარის ხმაურობის შუა ისმის ადამიანთა ხმა. აღელვებული, სუსტი და აკანკალებული მათი ხმა მომაკვდავის სასოწარკვეთილ ამოძახილს მოაგონებს მსმენელს ხმა მათი მოისმის მაღლიდან: სჩანს ხეებზე არიან შესული და იქიდან ლაპარაკობენ.

**პირველი ხმა.** ფიქრან! ჰა, ფიქრან!! ცოცხალი ხარ?

**მეორე ხმა** (პასუხს აძლევს). ა? რომელი ხარ? მე ძმახი?

**პირველ.** ჰო, შენ გეძახი! მე ზომელი ვარ!!. ფიქრან, რა ვქნათ?

**ფიქრან.** არ ვიცი!

**ზომელი.** არც მე ვიცი! სხვები სად არიან?

**მრავალი.** (ერთხმად) აქა ვართ, აქა! (ქარი დაიქროლებს, ტყეში ხმაური ასტყდება)

**ფიქრანი.** (აყოლებს ქარის ზუზუხს) კრორ! უჰ!

**ზომელი.** ჰააჰაა!

**მრავალი.** დო, დო! ჰოუუ! ვაი! (შორიდან აღმოხეთქილი ღელვატეხილი ხუილ-შუილით მოედება ტყეს. ტყე დაინძრევა. ხეები ერთმანეთს ეხეთქებიან. ხეებზე შესული ხალხი თითო-თითოდ ძირს ჩამოცვივა).

**ერთი ძირს ჩამოვარდნილი**—ჰააჰ! მოვკვდი!

**მეორე.** ჰაჰ! მოვკვდი! (ჩამოვარდება რამდენიმე ერთად)

**ფიქრანი.** (დაცემული) მორჩა! ესეს არის ბოლო გვეღება!

**ზომელი.** გვათამაშებს მტერი, დაგვცინის ულონოებს! ჰა, წყეულო, კრულო! არ დაგრჩება გამოჯვერა, არა! (კვნესა და ოხვრა ირგვლივ) (ფიქრანს) ა, ფიქრან!!

**ფიქრანი.** ზომელ, რა ვქნათ? ა? საით?

**ზომელი.** ზევით! კვლავ ზევით? ზევით!

**ხმა ხალხიდან.** მიწა ხე, ცივა! მიწა იძვრის! მიწამ გვიმტყუნა!

**მეორე ხმა.** ზევით? იქ ვერ მოგვნახვეს! ზევით სჯობია?

**მესამე** ) მიწას სწყურია
**მეოთხე** ) კვლავ ჩვენი სი-
**რამოდენიმე** ) სხლი! ზევით! ზევით (კვნესით).

**მრავალი.** კვლავ იქ სჯობია! მიწა გვაშინებს! ზევით!

**ფიქრანი.** ძაძ, ავიდეთ! (ბობოქარი თითქო მიწყნარდება) დაწყნარდა თითქო! საიდან მოდის ასეთი ბნელი? ნეტავ ვიცოდე მისი დასაბამი! რა არის იგი? მიწავ! (ლოცვის კილოთი) მიწავ! დედა-მიწავ!

**მრავალნი.** (იმავე კილოთი) დედა-მიწავ! ოჰ, დედა-მიწავ!!

**ზომელი.** რად გვიღალატე? რად დაგვამონე მტერს, რადა, აღმზრდელო ჩვენო?

**ფიქრანი.** ტკბილო დედავ! მიწავ მშობელო! რად შემოგვწყერი, ბეჩავ, შენს შვილებს?

**მრავალი**—მან შეგვიძულა! ცივია იგი? ზევით, მიწა გაგვცემს?

**ყველანი**—მიწა გაგვცემს! მიწა გაგვცემს! (წამოიწევენ მუხლზე) მიწა გაგვცემს! (სურთ ხეებზე შესვლა).

**ფიქრანი.** მივდივარ! (აღგება)

**ზომელი.** მეც!

**დანარჩენები.** ჩვენც! (თითოეული გაიმეორებს: „მეც" „მეც") (ადიან ლანდივით მოსჩანან. ასვლის დროს გაისმის შტოების მტვრევა და ხმა: „სუ", „ჩუმად"- „ზევით ტყის შფოთვაა. ქარი ღმუის გულსაკლავად)

**ხმა.** (ხიდან) უუჰ? ასე სიკვდილი!? როგორ დავმარცხდით!

**მეორე ხმა.** იქნებ გვეშველოს და გათენდეს!

**მესამე ხმა.** იქნება მტერმა მიგვატოვა, თავი დაგვანება.—დაკმაყოფილდა იმით, რაც წაიღო.. იქნება გათენდეს!

**მრავალი.** გათენდება, გათენდება! გადავრჩებით!

**ფიქრანი.** ოჰ, როგორ გვიყურებს ბნელეთი! აუღელვებლად, წყნარად გვიმზერს იგი!!

**ზომელი.** ჩვენსკენ ახლო არ იწევა! თითქო არ გვაქცევს ყურადღებას! მაგრამ არც ჩვენ მივიწევთ მისკენ! მახამდე გათენდება. ხომ არ მივიწევთ ჩვენ?

**მრავალი.** ჩვენ მისკენ არ მივიწევთ! ჩვენ არ მოვხვდებით ბნელეთში, გადავრჩებით!

**ფიქრანი.** სად არის ზეცა? ზეცა ნათელი რატომ არ მოსჩანს? ა? მზის, ან მთვარის სხივი რატომ აშორდა ამ შავს ტყეს? ოჰ! ერთი ცა, ერთი ვარსკვლავი!!

**ზომელი.** ღამეა თუ დღე?

**მრავალი.** ღამეა თუ დღე?

**ფიქრანი.** ღამეა, რადგანაც მზე არ ანათებს და მიწაზე ცივა! ღამეა, რადგანაც ქარის ზუზუნი მეტად მკვეთრია და ღელვა-ტეხილის ხმაც მეტად შორს მსვლელი!!

**ზომელი.** ნეტავ, დღე იყოს!

**მრავალი.** ნეტავი, ნეტავი! რად მეფობს ამდენს ხანს ღამე?

**ფიქრანი.** ღამე მეფობს, ღამე მეფობს!! (საშინელი ქუხილით გაიხმაურებს ქარი. შორიდან არა ადამიანური წამოძახილი გაისმის).

**ხმა ხიდან.** სიკვდილი!

**მრავალი.** სიკვდილი, სიკვდილი!! (შემდეგ თითქმის სიჩუმე დამყარდება, ამ სიჩუმეში დაბალი, არაადამიანური სიცილის მსგავსი „ჰა-ჰა" გაისმის, რომელიც დაბალი ხმიდან მაღალზე გადადის. ბოლოს გაჯავრებულ აძახილად გადაიქცევა).

**პირველი ლანდი.** (ჩუმად) სად გამოვედით?

**მეორე ლანდი.** ჯოჯოხეთში. „ჰა-ჰა" მაღალი ხმიდან დაბალზე გადადის).

**პირველი ლანდი.** შეხედეთ ბნელეთს! არ გადასდგათ იქით ნაბიჯი!!

**მესამე ლანდი.** ბნელი გავიაროთ—ნათელს ვიპოვით!!

**პირვ. ლანდი.** ჰა, სულელი!!

**მეორე ლანდი.** გიჟი! მსუბუქი!! (ხეზე შესულებს ესმით მათი ლაპარაკი. მათში ჩურჩულია: „ჩუ", „გესმის-?, „რა ვქნათ!")

**პირვ. ლანდი.** თითქო ლაპარაკი მესმის! დავბრუნდეთ, ძმებო!

**მეორე ლანდი.** მეც მესმის! დავბრუნდეთ, აქ რაღაც საშინელებაა!

**მესამე ლანდი.** საით? გზა ხომ არ ვიცით? (ხეზე მითქმა-მოთქმაა).

**პირვ. ლანდი.** საიდანაც მოვედით იქით წავიდეთ, უკან! (შეშინებულია).

**მესამე ლანდი.** საიდან მოვედით?

**მეორე ლანდი.** როგორ თუ საიდან?

**მესამე ლანდი.** ჰო, საიდან-მეთქი? ესეც რომ არ ვიცით! უკან დაბრუნება შეუძლებელია!

**პირვ. ლანდი.** როგორ თუ შეუძლებელია? მენ დაგიჯერეთ, რომ წამოგყევით! გაჩუმდი! (ხეებიდან ლაპარაკი მოისმის.

**პირვ. ხმა. ხიდან.** რას ჰფიქრობ?

**მეორე.** მტერია, ვგონებ?

**პირველი.** მაშ, რა ვქნათ?

**ზომელ.** გავჩუმდეთ!

**ფიქრან.** შევაშინოთ!!

**პირვ. ხმა.** როგორ?

**ფიქრან.** მოვრთოთ ყიჟინა, აურზაური! ხისა შტოები სულ დავამტვრიოთ! შეჰშინდებიან და უთუოდ წავლენ!!

**მეორე ხმა.** იქნება ჩვენი ძმები არიან. საშველად წამოსულნი!!

**ფიქრან.** აბა შენ ჰკითხე.

**მეორე ხმა.** მე არ შემიძლიან! (ლანდები გაიგონებენ ლაპარაკს. შეშინდებიან და ხეს ამოეფარებიან).

**პირვ. ლანდი.** რა ვქნათ?

**მეორე ლანდი.** დავუძახოთ, ვკითხოთ ვინ არიან, ან აქ რა უნდათ.

**მესამე ლანდი.** (ჩუმად) სუუ! წყნარად სთქვი!!

**მესამე ლანდი.** (წაიწევს წინ. უნდა ჰკითხოს. დანარჩენები მას აკავებენ, მაგრამ მაინც არ იშლის.) ჰეი! ჰეი! ვინა ხართ? (პასუხად საშინელი აურ-ზაური ასტყდება ხეებზე. ამტვრევენ, ყვირიან შესაშინებლად „ჰოჰო!").

**მესამე ლანდი.** (პირველი და მეორე უკან დაიხევენ. მესამეს კი სურს ატეხილი ხმაურობის გაყრუება თავისი ძახილით). ჰეი, გვითხარით, ვინა ხართ? (ხმაურობა მატულობს) გაჩუმდით-მეთქი!!

**პირ. ლანდი.** გიჟია ეს საცოდავი! აქეთ წამოდი!

**მეორ. ლანდი.** ჩვენ რატომ გვღუპავ?!

**მესამე ლანდი.** (არ წყნარდება) ჩვენ მტერი არავართ, თქვენ არას გერჩით, მომისმინეთ!

**ხეებიდან.** (აშინებენ) ჰარე! მოუარე! არ დაზოგო! სისხლი, სისხლი!

**მესამე ლანდი** კაცნი ხართ, გატყობთ! მდევ-ქაჯებისას არ ჰგავს ხმა თქვენი!!

**ხეებიდან.** ჰარე! მოსჭიდე ცეცხლის ხელები, ალი შეუნთე პირში და დასწვი! სისხლი მოგვეცი მათი სასმელად! ჰარე, გააპე?

**მესამე ლანდი.** თუ ხართ კაცთ მტერნი, სულნი ბოროტნი, ჩვენც აქა ვართ, არსად მივრბივართ!

**პირველი ლანდი.** (მეორეს) ჩვენ კი წავიდეთ!

**მეორე ლადი.** ჩქარა გავიდეთ! გრიყვია ჩვენი ძმა, თავს დაიღუპავს!! (ორივე მიიმალება.)

**ფიქრანი.** (შესაშინებელი ხმით) ჰო, ჰო, ჰოო! ვიცით, ვიცით, ვინცა ბრძანდებით! ჩვენ ვართ მრავალნი, ძალით ურიცხვი, გვეფრთხილდით!

**მრავალი.** (დაიგრიალებს) გვეფრთხილდით!

**მესამე ლანდი.** (თითქო ხმაზე იცნო) ღვიძლთა ხმა მესმის! თქვენში არ ვცდები! ბევრი მყავს თქვენში ძმა-მეგობარი!!

**ხმა მრავალის.** ჰა, ჰა, ჰა, ჰო, ჰო, ჰო! ჩვენ გვეცინება!

**მესამე ლანდი.**—მომისმინეთ!

**ფიქრანი.** აბა, მდუღარევ, მოსწვი მას ენა!!

**მესამე ლანდი.** ვიცნობ ფიქრანს, ვიცნობ ზომელს, ვცნობ... (ქარი მეტის სიმკაცრით დაიქროლებს, ტყე შეინძრევა, სქელი ბურუსი გაშავდება, მიწის გულიდან გრგვინვა მოისმის, რომელიც ჩააწყნარებს ლაპარაკს, ყველა შიშით გაჩუმდება, მესამე ლანდიც თავშესაფარს ეძებს. მიწის ღელვის ხმა საშინელის ზათქით ამოსკდება, ტყეზე დაწოლილს ბურუსს თან ჩიტანს, მიწა შეინძრევა. ხეებიდან ცვივა ხალხი! ძირს დაცემულთ კვნესით აღმოხდებათ: „სიკვდილი", ვაი, სიკვდილი!")

**ფიქრანი.** (დაცემული) ნუთუ, უკანასკნელი წუთი დაგვიდგა!

**ზომელი.** მტერი ემმაკობს, გვეთამაშება! (ხალხის კვნესა და მოთქმა.)

**ფიქრანი.** ჩვენი სახელი ვინ უთხრა იმათ?

**ზომელი.** „ფიქრანს ვიცნობო".

**ფიქრანი.** შენი სახელიც წარმოსთქვა!

**ზომელი.** ნუ თუ? შენც გაიგონე? (ფეხზე წამოდგებიან. ჯგუფდებიან. ხალხი მწარედ ოხრავს).

**მესამე ლანდი.** (წამოვა ხალხისკენ, მიუახლოვდება. იცნობს.) ნუ გეშინიათ, თქვენიანი ვარ!

**ფიქრანი.** (მეტად შეშინებული, ვითომ ვერ გაიგონა შიშითა უკან დაიხევს) ა?

**ზომელი.** (როგორც ფიქრანი) ა? (ყველა შეშინდება, ჰკრთიან.)

**მესამე ლანდი.** მე ვარ ელნათი?!

**ფიქრანი.** (გახარებულნი.)

**ზომელი** როგორ თუ ელნათი?

**ხმები.** როგორ, როგორ?!

**მესამე ლანდი.** დიახ, ელნათი! სამი ძმისაგან ყველას უმცროსი!

**ფიქრანი** ჩვენი ნუგეში, იმედი

...დასტოვა დარბაზი, სადაც უსუსური ბავშვები და მათი აღმზრდელი ასე ამცირებენ ქართველების სიამაყეს და პატიოსნებას. ძლივს შეიკავა თავი და კინაღამ ხმლით არ მივიდა თავგასულ მოწაფეზე. ეგეთი გმირები დედასაც არ აპატიებენ თავის წმიდათა წმიდის ცუდად მოხსენებას. არავის შეაწევენ პატრიოტების ლანძღვას, ქვეყნის ბურჯების, ერის ყვავილების დამცირებას!

პატრიოტი! და რაღა იქნებოდა საქართველო, რომ პატრიოტები არ იყვნენ, მათი გაბუშტული მუცელი, მათი დამჭკნარი თვალები, ხრინწიანი ხმა არ ამშვენებდეს და ატკბობდეს ქვეყანას?

მე მესმის, მესმის ცხინვალელ თავადის აღელვება, მესმის მისი მამულიშვილური გულისცემა. როგორ არ უნდა აღშფოთდეს, ღრმად გამოცდილი კაცია, ბევრი უნახავს, ბევრი უყლაპავს და ყსვამს და იცის გემო ცხოვრებისა. ეგებ რამე თანამდებობაც ჰქონდა წინად, სამსახურში იყო; შეიძლება ბოქაულის ხარისხიც დაიმსახურა,—ჭკუა შეიძინა და სხვებსაც შესძინა, თვითონაც გამდიდრდა და ხალხიც გაამდიდრა ...გამოცდილებით; სხვები თუ გაყვლიფა, თვითონაც გაიყვლიფა თავი, მაგრამ დიდი კაცი იყო, ეთიკა და ზრდილობა ისწავლა და ნუ გვეუცხოვება, თუ ახლა სხვებსაც ასწავლის „პრილიჩიეს", თავმოყვარეობას, მამულიშვილობა!

მამულიშვილობას ქართული ქეიფის და მრავალ ჟამიერისას! მამულიშვილობას მამულის გაყიდვასა და გაფლანგვისას! მამულიშვილობას გადაგვარებისას!..

აქ არაა არისრა გასაკვირველი და საცინელი! ყველაფერი ეს არ ახალია, ჩვეული ჩვენში. ცხინვალის ამბავს ყოველ დღე ვხედავთ, ყოველ დღე გვესმის. მე მხოლოდ მეუცხოვა, ძალზე გამაკვირვა სკოლების ზედამხედველის ქალის დავითიშვილის ასულის სითამამემ.

როგორ გაჰბედა, და ისეთი შეუწყნარებელი „შეურაცხყოფა" მიაყენა ბრწყინვალე პატრიოტს, დამსახურებულს მამულიშვილს. როგორ ჰბედავს და ამასაც კი ამბობს: „ვამაყობ იმით, რომ შემიძლიან კიდევ ბევრჯერ ვათქმევინო შეგნებით ამგვარი ლექსები მოწაფეებსო".

ისე შევეჩვიე ჩვენებური მასწავლებლების სილაჩრეს, გაუბედაობას, შიშსა და კანკალს ძლიერთა წინაშე, ისე დაამწუხრა ჩემი გული ბევრი მასწავლებლის სამსახურის და დაწინაურების სიყვარულმა და არა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ, რომ პირდაპირ მეოცა ქ. დავითიშვილის ასულის გაბედული, გულახდილი, მოურიდებელი სიტყვები და ვსთქვი:

ცხინვალში თუ ყოფილა ბრწყინვალე „გმირი" თავადი, არის გმირი მასწავლებელი ქალიც!

**სიტყვა.**

# მოსკოვის სამხატვრო თეატრი

## (გასტროლები ოდესაში)

### IV.

### „მეფე თეოდორე ივანეს ძე", ა. ტოლსტოისა.

ეს პიესა სამხატვრო თეატრმა 15 წლის წინად წარმოადგინა და ამ პირველი წარმოდგენით სახელი მოიხვეჭა და ღირსეული ადგილი დაიჭირა რუსეთისა და საზღვარ-გარეთის თეატრთა შორის. იმ დროს მოსკოვის თეატრი ჯერედ ნორჩი იყო, ახლად ფეხ-ადგმულ ბავშვსავით ხელის ტოტმანით ეძიებდა გზა-კვალს. შეიძლება, იმ დროს ამ პიესას მრავალი ნაკლულევანებაცა ჰქონდა. მაგრამ დრომ და თვითგანვითარების უნარმა თავისი გაიტანა, სამხატვრო თეატრის მესვეურნი მრავალ ახალ წვრილმანს მიაქცევდნენ ყურადღებას ძველ ნაკლულევანებასაც აიცილებდნენ თავიდან და, რაღა საკვირველია, თუ „მეფე თეოდორე ივანეს ძე" სამხატვრო თეატრმა 200-ზე მეტჯერ წარმოადგინა. სხვაფრივ არც შეიძლება; იმგვარად წარმოდგენილმა პიესამ, როგორიცაა სამხატვრო თეატრის მიერ დადგმული „მეფე თეოდორე" ძლიერი შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს მაყურებელზე. ეს უეჭველია.

მე-XVI საუკუნის მოსკოვი აღადგინა სამხატვრო თეატრმა. თქვენ თვალ-წინ გადაიშალა ისტორიული ეპოქა მისი დამახასიათებელი თვისებებით, კოლორიტით. დიდებულთა მოსკოვი, რომელიც განიცდის მათ შურსა და ღვარძლს; მოსკოვი, რომელიც განსაკუთრებულ წრეში გამართული კრივით იყოლიებს თავსა და რომელიც მონასტერთა ხლუდეებში ცოდვასა და ბოროტებას ინანიებს; მოსკოვი, რომელიც ძირს ამხობს ერთს დიდებულს და მის მაგიერ მოწინეებით თაყვანსა სცემს მეორეს, რომელსაც მალე, ძლიერ მალე გაუთხრის სამარეს, ან ჩაჰკლავს სადმე სამონასტრო საპატიმროში; მოსკოვი, რომელსაც საეკლესიო ზარების გუგუნი თავის მძლავრ ტალღებში ჰხვევს და აცხოველებს,—აი მოსკოვი, რომელსაც გვიშლის თვალ-წინ სამხატვრო თეატრი ა. ტოლსტოის პიესაში.

სამხატვრო თეატრმა განსაკუთრებულის უნარით და ღრმა გემოვნებით აღადგინა ისტორიული ხანა თავისი ელფერით, გამოამზეურა მტვერით დაფარული და ჩირჩილ გაჩენილი ავლა-დიდება ეპოქისა, განაახლა და თავის ხელოვნების ტაძარში გადმოიტანა. სურათი დიდებული აღმოჩნდა: მთავარ-ანგელოზის ტაძარი, მძიმე მოღუშული ისტორიული თაღებით გადავლებული სასახლე, დიდებულთა (ბოპრე) ისტორიული ტანსაცმელი, თითქმის გამოჭედილი სავარძლები, ირგვლივ შეკრებილი თამა და საზოგადოდ გარეგნობა მომქმედ პირთა—ყველა ეს ხომ მუზეუმის ავლა-დიდებას შეადგენს!

მაგრამ განა მარტოოდენ გარეგნობითაა ეს პიესა ისტორიული? განა დეკორატიულის მხრითაა იგი ეპოხის დამახასიათებელი? გადახედეთ მსახიობთა თამაშს, მათ მიერ განსახიერებულ გმირებს, და დარწმუნდებით, რომ პიესის გარეგნობას მსახიობთა ისტორიული თამაშიც ერთთვის ჰარმონიით.

განსაკუთრებულს ყურადღებას, რაღა თქმა უნდა, მეფე თეოდორეს როლის აღმასრულებელი—ბ-ნი მოსკვინი იქცევს. ძქეროთ, რა სხლარტია, ნაზი იფნის ტოტსავით მოქნილია ამ მსახიობის ნიჭი! გუშინ გულგაშლილი, დარდიმანდი ეპიხოდოვი („ალუბლის ბაღი"), შემდეგ გათახსირებული, ღირსება დაკარგული და დაწიხლული ადამიანი სნეგირიოვი („ძმ. კარამაზოვები"), ძერე—გამოტვინებული პარაზიტი, წვრილმანი „სკანდალების" მოყვარული ჟურნალისტი გლუმოვი (ოსტროვსკის პიესა) და... მეფე თეოდორე! ყველგან ერთნაირი ნიჭი, ყველგან ერთნაირად დაკვირვებული და გონიერი თამაში! მოსკვინი სამხატვრო თეატრის მშვენებაა!..

გულჩვილი, რბილი ხასიათის ადამიანი მეფე თეოდორე. სცდილობს ყველანი შეათანხმოს, შეაკავშიროს, მოსპოს დიდებულთა შორის ჩამოვარდნილი შური და ღვარძლი—ამას მოითხოვს ქვეყნის ბედ-იღბალი. აი, ლეიტ-მოტივი, რომელიც გატარებულია მოსკვინის მიერ მეფე თეოდორეს დახასიათებაში. მისი ბაასი დიდებულებთან, მისი დინჯი მიმოხვრა, დასასრულ, მისი სახის გამომეტყველება აშკარად ჰმოწმობს მეფე თეოდორეს ადამიანურს სისუსტეს. ზოგჯერ, ისიც იშვიათად, იღვიძებს მასში მრისხანე იოანეს სისხლი. ამ დროს იგი ჰკარგავს ჩვეულებრივ ლმობიერებას. მაგრამ ამ უნებლიეთ ეფექტის დროსაც თქვენა გრძნობთ, რომ თეოდორესათვის მეტად მძიმეა ქუდი მონომახისა. მოსკვინის მიერ განსახიერებულ მეფე თეოდორეს ხალხური სისასტიკის ბეჭედი აზის. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი პათოსი ადგილს უთმობს მარტივს, გულიდან ამონახეთქ კილოს: თქვენა ჰგრძნობთ, რომ ეს მეფე იტანჯება, დასტირის თავის ბედ-იღბალს. განსაკუთრებულის ლირიზმით და სითბოებითაა გაცოცხლებული ის სცენა, როდესაც მეფე თეოდორე ირინეს შესჩივის: „მინდოდა ყველა შემერიგებინა, ყველა შემეთანხმებინა. მაგრამ ამაო გამოდგა ყველა ჩემი ცდა". ეს სიტყვები ისეთის მარტივის გრძნობიერებით იყო წარმოთქმული, რომ ძალაუნებურად ცრემლებს გამოიწვევდა. არა მგონია, მოსკვინს მეფე თეოდორეს დახასიათებაში ბადალი ჰყავდეს ვინმე.

ამ სტრიქონების დამწერს მარტოოდენ ორლენიევი უნახავს ამ როლში. მაგრამ ორლენევის მეფე თეოდორე მოუსვენარია, ფიცხელი, გახელებული. ალბად იოანე მრისხანის მემკვიდრეობის ზედგავლენას ეძიებდა ორლენიევი, როდესაც მეფე თეოდორეს როლს ასრულებდა. მისი მიმოხვრა სწრაფია, მოულოდნელი, მისი შეტევა ნევრასტენიით დაავადებულის კივილს უფრო ჰგავს, ვიდრე დარბაისელ, მოთმინება—დაკარგული მეფის მრისხანებას. ორლენიევის პათოსი ჰქმნის ტრაგიკულ ატმოსფერას, მაგრამ ეს ატმოსფერა მოკლებულია გულის სიღრმიდან ჩამონაკვეთი სითბოებას, რომელიც აღრმავებს მოსკვინის მიერ დასახულ თეოდორეს. ორლენევის თეოდორე ჩვენი ნევრასტენიული ეპოქის შვილია, იგი არ არის ძველი მოსკოვის ღონე-მიხდილი მპრძანებელი.

თქვენ თვითონ განსაჯეთ, სად არის ისტორიული სიმართლე.

მოსკვინს ღირსეულად მხარს უმშვენებს ქ-ნი კნიპერი—ირინეს როლის აღმასრულებელი, ბ. ლუჟსკი—თ-დი შუისკი და ბ. არტიომი, რომელიც წვრილმანიდან საუცხოვო სურათსა ჰქმნის.

საერთო აღსრულებაში დისჰარმონიასა ჰქმნიდა ვიშნევსკის თამაში. განა დანარჩენ მსახიობთა მარტივსა და ბუნებრივ თამაშს შეეგუება ვიშნევსკის (ბორის გოდუნოვი) „აქტიორობა", ნაძალადევი პოზა და სიტყვების გალობით წარმოთქმა? არა, ვიშნევსკის გოდუნოვი დაიჩრდილა სრულიად.

დიდხანს, ძლიერ დიდხანს გონს ვერ მოსულხარ ნახულის და გაგონილის ზედგავლენით. სიცოცხლე უხვი ნაკადისავით სჩქეფს ამ ხელოვნების ტაძარში, ასპეტაკებს ყოველ ნაკვთს, აქ იქედება ჭეშმარიტი ხელოვნება, რომლის სამსახურად 15 წლის წინად ამავე პიესით გამოვიდა სამხატვრო თეატრი...

ჩემდა საუბედუროდ, ვერ დავესწარი ტურგენევის საღამოს. ამ საღამოს სამხატვრო თეატრმა ტურგენევის სამი პიესა ითამაშა. ითამაშა ისე, როგორც სტანისლავსკის, კაჩალოვს, არტიომს და სხვათ შეუძლიათ თამაში. მორთო პიესა ის, როგორც შეიძლება დოშუჟინსკის მშვენიერი ნახატის წყალობის მოეწყოს პიესა...

ძნელი ასანაზღაურებელი დანაკლისია...

**პ. დადვაძე**

(შემდეგი იქნება)

# მუშათა ცხოვრება

✦ მელიტოპოლში გაიფიცნენ ზაფერმანის ქარხნის მუშები და მოითხოვეს უფროსი ოსტატის დათხოვნა, რომელიც მუშებს უზრდელად ეპყრობოდა.

✦ რიგაში ზოგიერთ ფურნეში გაიფიცნენ მუშები და წაუყენეს პატრონებს ეკონომიური მოთხოვნილებანი. კომიტეტმა პროკლამაციები გაავრცელა. მოსალოდნელია საყოველთაო გაფიცვა.

✦ ვილნაში ტყავეულობის მექარხნეებმა სინდიკატი შეადგინეს და შრომის პირობები გააუარეს. მუშები გაიფიცნენ და მოითხოვეს ხელფასის მომატება.

# მოწერილი ამბები

**დ. ბორჯომი.** წრევანდელი საგარაკო სეზონი, ბედნიერად უნდა ჩაითვალოს ბორჯომელთათვის, ვინაიდან, ამდენი აგარაკე, როგორც წელს, არაოდეს არ სწვევია ბორჯომს, დიდი სიყოჩაღე დაგჭირდება უბრალო მოაკვდავს, რომ ახლა ბორჯომში იაფ-ფასიანი კუნჭული იშოვო და შენც მოაგარაკეთა რიცხვში მოხვდე. მაისის დამლევამდე საშინელი წვიმები იყო აქეთ და სიცივე იდგა. ამის შეხედვალე, აგარაკების პატრონთ მოსვენება აღარ ჰქონდათ და ცხვირჩამოშვებულნი წუწუნებდნენ: „რაღა გვეშველება, აგარაკები გაუქირავებელი დაგვრჩებაო".

მაგრამ ბედმა გაუღიმათ. დღეს, სადაც-კი ხალხი დაძრულა, სულ ბორჯომისაკენ მოდის, რამაც გამოიწვია, როგორც სახლებისა, ისე სანოვაგის სიძვირე. სახლის დაქირავება რომ მოახერხო, სანოვაგის შოვნასა და ყიდვას ვეღარ მოსძლებთ. ასეთი თავგასული მოვაჭრეები, როგორც ბორჯომშია, ვგონებ, არსად მოიპოვებიან. არავითარი ბრძოლა კაცს მათთან არ გაუვა. როგორც სურთ და ეპრიანებათ—იმ ფასად ჰყიდიან სანოვაგეს და, რომ გაბედოთ პროტესტის გამოცხადება, ასე გიპასუხებენ: „წელიწადში ეს ერთი დღე გაგვითენდება ხოლმე და ეგლაც არ მოვიგოთოო". მართლაც იგებენ და „წვრილ" მოაგარაკეთ კი აღარ ჰკითხავენ, შეუძლიათ თუ არა ასეთ პირობებში აგარაკში ცხოვრება. უმეტესობისათვის ხანგრძლივი ექიმობა, ჰაერი და წყალია საჭირო, მაგრამ სიძვირისა გამო, იძულებული ხდება მალე მიატოვოს ეს „სამოთხე" და სახლისკენ გაეშუროს.

როდესაც ბორჯომის ტყეების აუწერელ სილამაზესა და სიუხვეს შეჰყურებ, ადარებ მას ცხოვრების სიძვირეს და ჰფიქრობ:—ყველაფერი კარგადაა მოწყობილი, ყველაფერი თავის ადგილასაა, მაგრამ ღარიბი აქაც უბედურია და ყოველივე ეს მხოლოდ მეძლებული კლასისათვისაა გაჩენილი.

**ნიკო გურული.**

**ს. ველევი** (რაჭა) ამ თვეში სოფელ ველევში გარდაიცვალა ღრმა მოხუცებული (88 წლისა) აზნაური ივანე ქაიხოსროს ძე კვიტაშვილი. რაჭის საზოგადოება კარგად იცნობდა მას, როგორც პატიოსნებით აღსავსე ადამიანს და აგრეთვე ქველმოქმედს: ბევრი ღარიბი და ნიჭიერი ყმაწვილისათვის აღმოუჩენია ნივთიერი დახმარება სწავლის გასაგრძელებლად, სოფელს კი ან გზაოს უკეთებდა, ან ეკლესიის შემკობისათვის ზრუნავდა. ოდესღაც შეძლებულ მოსახლედ ითვლებოდა ს. ჯკაოისაში, მაგრამ ჯერ ცოლის სიკვდილმა, შემდეგ ავაზაკების თავდასხმამ და სახლკარის გადაწვამ (1906 წ.) სიღარიბემდი მიიყვანეს. ნაღდი ფული არ დარჩენია საქარხს გარდა, ისე კი,

---

...ჩვენი!

**ზომელი.** მოდი, ელნათო, მოგვიახლოვდი!?

**ხმები.** იმედი, იმედი! გავალთ! ხომ გავალთ, გვითხარ!!

**ფიქრანი.** (მიუახლოვდება), იცი გზა, ელნათ?

**ხმები.** გზა. გზა! (ელნათი ასწევს მაღლა ხელს და მიუთითებს ბნელეთისაკენ. ფიქრანი და ზომელი შეკრთებიან. განზე გაიწევიან).

**ელნათი.** გზა ერთად-ერთია!

**ხმები.** (გაურჩევლად) მაშ, წაგვიძეხ! ელნათმა იცის პირდაპირი გზა!

**ელნათი.** დიახ, მე ვიცი! ერთი გზა-ღა დაგვრჩა, მხოლოდ ერთი! ან იმ გზით წასვლა, ან...

**ხალხი.** წავიდეთ, წავიდეთ იმ გზით!

**ფიქრანი.** გზა რომ არ არის?

**ელნათი.** ჩვენ გავაჩინოთ! ამ შავი ხაზიდან ბნელეთს უნდა შევსდგათ ფეხი, გადავჭრათ იგი!..

**ზომელი.** როგორ გადავჭრათ? როცა იქ, ბნელში, სუფევს მტერი?!

**ელნათი.** მეტი გზა არ არის!! ან იმ გზით წასვლა, ან აქ სიკვდილი!! (ორი ლანდი: პირველი და მეორე, წინად დამალულნი, ახლა გამოჩნდება ისევ და იმათ მიუახლოვდება).

**ფიქრანი** უნდა გითხრა, ძმაო ელნათ, რომ შენ სცდები, რადგანაც გადავდგამთ ფეხს ამ ხაზზე თუ არა, —მტერი შეგვიპყრობს და...

**პირველი ლანდი.** (ადასტურებს ფიქრანის სიტყვას), ფიქრანი მართალს ამბობს!!

**მეორე ლან.** ფიქრანი მართალია!!

**პირ. ლან.** სიკვდილი ბუდობს ამ შავს ბნელეთში!!

**ფიქ.** )ნუ თუ თქვენც აქა ხართ?

**ზომ.** )ძმაო გაწუკა, ძმაო ჩამალავ!

**გაწუკა.** დიახ, თქვენთანა ვართ! გამარჯვება! ჩვენი გამარჯვება!!

**ხალხი.** (იმედიანად) გამარჯვება! გამარჯვება!!

**ხმა ხალხიდან.** გაწუკამ იცის გზა ჭეშმარიტი! ის გამოცდილია!

**ჩამალა.** ხანში შესული ჩემი ძმა გაწუკა ჯერ არ შემცდარა მე მას ვუჯერი!

**ელნათი** (განზე გამდგარი) გზა მან არ იცის!!

**ხალხი.** ელნათი ლაპარაკობს, ელნათს რიღაცის თქმა უნდა!

**გაწუკა.** ყური დამიგდეთ! მას შემდეგ, რაც ჩვენ ომში ვართ, სისხლის მორევში ვიღრჩობით ყველა! სულ გაქირვება, სისხლი და ტანჯვა! მაგრამ დიდი მიზნისათვის თავგანწირულებს წარბიც არ შეგვიხრია! ბევრი მოგვაკლდა, ბევრი გაგვიწყდა, ჩვენ-ღა დავრჩით, მცირენი რიცხვით!!

**ხალხი.** მართალი არის!!

**ელნათი.** ეს ყველამ იცის!!

**გაწუკა.** ვინ იტყვის, რომ გაწუკა ჩვენს ბრძოლაში პირველი არ იყო!? აბა, ვინ მოსთვლის ჩემს გაჭირვებას!? მე—პირ და პირი, მეუპოვარი, წინ მივიწევდი თავგანწირული!—მტერი მე მიცნობს!

**ხმები.** მართალი არის! მართალი!

**გაწუკა.** უნდა გითხრათ, რომ ჩვენი მიზანი ამიერიდან სიკვდილი არ არის! სიცოცხლე გვინდა! (ხნელი დაისისინებს. გაწუკას ემხრობა) ჩვენი მალ-ღონით მტერთან ახლა ვეღარ გავსწორდით! დამარცხებას უნდა ვერიდოთ და... უკან დავბრუნდეთ... მოვღონიერდეთ!

**ხმები.** მართალი აზრია, ჭეშმარიტი!!

**გაწუკა.** ერთი სიტყვით, მოვშორდეთ ამ მავს ადგილს. გავბრუნდეთ უკან და შემდეგ რისხვით მოვევლინოთ მტერს!

**ფიქრანი.** მე კიდევ ამ სიტყვებს ისიც უნდა დავსძინო, რომ ჩვენი ომი ახლა არ დამთავრებულა, საუკუნოთა განმავლობაში სულ ბრძოლაში ვართ! ალბად, არც ახლა დასრულდება იგი! ნუ ავჩქარდებით და იქნება მომავალმა გაგვიღიმოს!

**ხალხი.** აბა, წაგვიძეღ! გავიდეთ აქ ტყიდან!!

**ელნათი.** მე უარს ვამბობ, არ წამოგყვებით!

**გაწუკა.** როგორც გინდოდეს, ნება მეხია!

**ელნათი** (გაწუკას). გზა რომ არ იცი, სად მიდიხარ! (გაწუკა შეჩერდება).

**ფიქრანი.** გაწუკა! შენი იმედით, იცი, მოვდივართ! გზა აქ არვინ იცის!! ალიაღ შენ იცი!!

**გაწუკა** (დაბნეულია). გზა?... ჰმ, როგორ თუ ვიცი!? უნდა მოვძებნოთ; რადგანაც იგი დაგვეკარგა მას აქეთ, რაც მტერმა აქ მოგვიმწყვდია.

**ხმები.** გზა, გზა, გზა! (გაწუკა, ჩამალა და ფიქრანი დაფიქრდებიან. არ იციან, რა ქნან).

**ელნათი** (კვლავ საუბარშია). აა მ, თუ უკან სავალი გზაც არ ვიცით, რად მივიწყეთ იქით, საიდანაც ახლა მოგვესმის მოძმეთა კვნესა, დევნათ ტირილი? რა ღაგვრჩენია იქ, აბა მითხარით, სადაც წყალიც და მიწაც ჩვენ გვემტერება!! მხოლოდ ძვალნი ჩვენთა წინაპრებისა... და წყვდიადში ჩახთქმული მონად-ქცეული სოფელი..., სხვა ხომ არაფერი!?

**ხმები.** უჰ! რა საშინელი მოგონებაა.

**ელნათი.** ვის სურს დასთვალოს უთვალავი ძმათა გვამი, რომელთ წარკვეთეს მაჯები...

**ხალხი** (ჰღელავს).

**ელნათი.** იმათი რიცხვი ხომ დაგვათვლევინებს...—გახსოვთ ბოძხება, მტრთ იგულებდა!? ფიქრანს, რას იტყვი?

**ფიქრ.** ნუ მტკიცავ, ელნათ, ძაკმაოდ!

**ხალხი** (ჰღელავს).

**ელნ.** უკან დაბრუნება? საით? გზა, გზა მიჩვენეთ!.. რომელს თქვენგანს აშინებს აქ სიკვდილი, როცა მას იცნობს თითოეული კარგად?! წინ უნდა წასვლა, კიომში მიხვეობა! დაბრკოლება უნდა დავძლიოთ, თუ გამარჯვებისკენ ვისწრაფვით ყველა!? მე გამომყევი-!—ვინ, ვინ წასვლას გიჩხვევთ იმ, ძმებო!! იქ, ამ ხნელს გაღმა, ნათელი დღეა, იქ უნდა გავიდეთ! ეს გზა მე ვიცი... მოვძებნი კიდეც იგი!..

**ხალხი** (დაიგრიალებს). ელნათს მივყვებით, ელნათს!

**გაწუკა.** სიკვდილს შეეყრებით, საცოდავებო! ნუ აჩქარდებით!

**ელნ.** სიკვდილით ვპოვებთ ჩვენს გამარჯვებას!

**გაწუკა.** აი, გიჟი, ნამდვილი გიჟი! გაჩუმდი მეთქი, არ გაძლევ ნებას!

**ელნ.** მამ, სიკვდილისა ვისაც ეშინია, მან გამოგვყვეს!.. ჩემთან იქნება ომში დახოცილთა ძალა და სული!!

**ხალხი.** შენთან მოვდივართ, აბა გაგვიძეღ! ან გამარჯვება და ან სიკვდილი! მეტი გზა ხომ მაინც არ დაგვრჩენია. (ელნათი წინ იწევა, ხნელს მიუახლოვდება. ყველა გაჩუმდება. მოუთმენლობა ეტყობათ).

**ელნათი.** მამ, მე წავალ ამ გზით პირველი, რომ დაგიძახოთ, მისწრაფლ გამომყევით! (ხნელი ხმაურობს).

**ელნათი.** გამაგრდით, ძმებო! (ხმაურობა მატულობს ელნათი მივა ხალხთან, ხალხი ჰღელავს.

**ელნათი.** მამ, გამარჯვება, გამარჯვება ჩვენ! (ამ სიტყვებით გადავაბიჯებს ხნელში. ლაიკაცის ალიონში. ხნელი მას ხმაურობით მიიღებს. ხოლო შემდეგ უეცრად მუსრდება ყველას განცვიფრებამ ეტყობა. თვლიან, რა მოჰყვება ამას. პატარა ხნის შემდეგ. თითქო იძულებით, დაიგრიალებენ: „ვაი მამო. „ფიცია", მაგრამ ძალიან მშივნელურად მჩერდებიან იდუმალ ბნელეთის წინ. სულგანაბულნი გაჩერდებიან. ხნელი სდუმს, თითქო ხალხის გაურკვევლობა და სიჩუმე მას გადაეცა. ასე გაგრძელდება ერთს ხანს.

**ფიქრან.** (აღელვებული ხმით) მაშ, ელნათ, ელნათ, გადაგვარჩინე?.. გავიდით? აჰ

**ხმები.** ელნათს გაუმარჯოს! ყველა მასთან ვართ!! (ბნელში ახლა ოდნავი ბრძოლა დაიწყება).

**გაწუკა.** (ჩამალას სულელურად უყურებს) აჰ

**ჩამალა.** (იმავე სახით) ჰმ... აჰ?

**ხმა ხალხიდან.** ტყეც რომ ჩაჩუმდა?

**მეორე ხმა.** შეეშინდა!

**მესამე ხმა.** აბა, ბიჭებო, თქვენი ჭირიმე! თქვენ იცით, მარჯვედ იყავით!! (ბნელეთში ჭრიალი მატულობს).

**ელნათის ხმა.** (მოისმის ბნელის სიღრმიდან. ელნათი ჰყვირის, მაგრამ მის ხმას, მაღალსა და აღელვებულს რაღაც მიმი, გაუბედაობა ეტყობა). მომყევით, ძმებო, უშიშრად! გზას გავკვალავ! (დიდს მთაბეჭდილებას მოახდენს ხალხზე).

**ხალხი.** (ლოცვის კილოთი). იკურთხოს შენი გონების თვალი! ყოვლის დავრჩებით, ყველანი მოვალთ. (ერთი მეორეს) აბა, წინ, შედგოლე!! (თავის თავად ჯგუფდებიან, ერთიმეორეს ამხნევებენ და ამ რიგად გადაეშვებიან ბნელეთში. ხაზს გადასცილდებიან თუ არა, დაიმალებიან, აღარ ჩანან).

**ელნათის ხმა.** ჩემსკენ, ჩემსკენ! თამამად!

**ხმები.** აბა, ჰა, ჰა! არ დასცილდეთ, წინ, წინ!

**ელნათის ხმა.** (მას სიძლიერე აკლდება თანდათან) თამამად! (ბნელეთის აქეთ დარჩებიან გაწუკა და ჩამალა. მათ გაკვირვება ეტყობათ. არ იციან, რა ქნან).

**გაწუკა.** აჰ რას იტყვი?

**ჩამალა.** რა ვსთქვა? წავიდეთ!

**გაწუკა.** სწორედ არ მეგონა! მე ახლაც ვერ გამიბედნია ხაზზე გადასვლა! (პაუზა.)

**გაწუკა.** ახლა ჩვენც წავიდეთ!.. აჰ

**ჩამალა.** გამარჯვებაა უთუოდ ელნათს დარჩება!

**გაწუკა.** ესეც კარგია, რომ სიკვდილს გადავრჩით! (ამათ ლაპარაკსა და მზადებაში ბნელში მატულობს ხმაურობა. ბოლოს ქარი მრისხანედ შეახმრავს ხეებს, გაწუკა და ჩამალა უკან დაიხევენ. შემდეგ კვლავ მივლენ ხაზთან, მაგრამ ქარი ძლიერად შემოჰყრავს მათ. კვლავ უკან დაიხევენ.

**გაწუკა.** ნუ თუ დავიგვიანეთ?

**ჩამალა.** აჩქარდით, ძმაო!. (ქარი დასტვენს და ხმაურობა საშინელი ათრთოლილით მოედება ტყეს. დიდის ზუზუნით დაჰქროლებს ქარი მაგარი და ხეთა მეხეთქებით ჩაივლის, ხოლო მავი გაიზრდება, წრიალით შეიკუმშება და უცებ, თითქო მიწა გასკდაო, შეუძლო უნებელ ხმას ამოუშვებს. გაწუკა და ჩამალა ხეს მოეფარებიან. მორიდან წამოვა ქარი და საშინელის ტეხილით ხაზზე გადმოსკდება.—თან გამოიტანს ლეშულთა ერთს გვამს. ესა წართქმულნი, მხოლოდ კვნესიან საცოდავად. გამოიტანს იმათ მსგავსავე მეორე გვამს. ხმა მოისმის: „მოგვატყუილა". კვლავ მესამე გვამს გამოაყოლებს ქარი. ჩივილი გაისმის: „რად დავუჯერეთ!" „მშვიდობით, ცხოვრებავ!" მათს კვნესას ზედ დაზუზუნებს ქარი და ჯოჯოხეთური ბნელეთი თავის საშინელი მეტყველებით.)

**ფიქრანი.** (მომაკვდავის ხმით) მეც რომ შევცდი და დავუჯერე? (კვნესა ყოველი მხრიდან. მორიდან ელნათის ხმა მოისმის: „ეს ხმა ახლა, წინამდებ წინანდელისა, ლოძერო გმინავს).

**ელნათის ხმა.** არა და არა!! სტუჟულებით! სცდები! არ გაბატონდე!! (მას კვნესით უსაყვედურებენ).

**ხალხი.** ჰოი, ჭკუაზე შეცდარო! მოკვდი შენც მოღალატევ!!

**ელნათის ხმა.** (ქარის ზუზუნში) ნაწილ-ნაწილად რომ გამკნათ, მეხთალო, მაინც არ დაგემორჩილდებით! (მისი სიტყვები ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოაქვს ქარს, სჩანს უქირს). ჰა, ჰა ეს ერთი თვალი... მეორეც წაიღეთ, ან რაღად მინდა? ჰა, მომკალით! (გრძლად) აააააჰ!.. (მის ხმას ქარტეხილი აჰყვება. შავად იქუხებს სქელი ბუღუსი დააწვება ტყეს და შავი ეხები, როგორც ალი, მოედებიან ტყეს. ხალხი არა სჩანს. არარა ისმის, გარდა დრო გამოშვებით, არა ადამიანური „ჰა-ჰა-ჰა სი. ქარი ჰფანტავს ამ „ჰა-ჰას". სიცილი დემონურია, შავი გესლით აღსავსე. ეს „ჰა ჰა" თანდათან უახლოვდება ამ ადგილს. ასეთ არევაში ერთის კუთხით გამოჩნდება გაწუკა. ის ფეხაკრებით მოიარება. გზადაბნეულია. მიშს მისთვის ჩვეულებრივი სახე წაურთმევია).

**გაწუკა.** ოჰ, ძალნო!.. მე.. მე ნუ მერჩით! (წაჰკრავს ფეხს) აჰ ეს რა არის? მიშველეთ, ძალნო!.. ერთგული ვიქნები!! („ჰა-ჰა" ისმის) აჰ ვინ დამიძახა? (მიიპარება. შავს ბნელს გამოეცლება რაღაც უფორმო უზარმაზარი და გაეგება იმ გზაზე, რომლითაც გაწუკა მიდის. გაწუკა მას წაჰკრავს ფეხს). აჰ აჰ რომელი ხარ? ცოცხალი ხარ, თუ?..

**გზაზე გაგებული.** (დამშვიდებული ხმით) ცოცხალი ვარ!

**გაწუკა.** რომელი ხარ?

**გზაზე დაგებული.**—მესამე?

**გაწუკა.** (ძალავს შიშს) ჰო, კარგი!

**გზაზე გაგებული**—შენ ვინღა ხარ?

**გაწუკა.** (არ უნდა მიაქციოს ყურადღება) ვერ გხედავ!.. მითხარ, შენ ვინა ხარ?

**გზაზე გაგებული.** მტერი!!. (გაწუკა იყვირებს): „ვაი" (და დაეცემა.

**გზაზე გაგებულ.** შენი კი არა!

**გაწუკა.** მაშ, ვისი!

**გზაზ. გაგებ.** თქვენი! (ამათ ლაპარაკში „ჰა,-ჰა" არ წყნარდება, მხოლოდ ხუმრობითი კილოს ღებულობს, თითქო ერთობაო).

**გაწუკა.** გამიშვი, მინდა წავიდე!

**გზაზ. გაგებ.** წადი! (გაწუკა ვერ მიდის, თუმცა კი ცდილობს წასვლას).

**გზაზ. გაგებ.** (გულშემზარავად). ჰა-ჰა-ჰა-ჰააა! (გაწუკა დაეცემა და უსიტყვოდ კვდება).

**გზაზ. გაგებ.** ქიხვ, ქვემძრომო, წადი!.. ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰააა!.. (იმართება და „ჰა-ჰას" მახილით კვლავ ბნელს შეუერთდება. ბნელიც რაღაც გასარკვევ სახიერებას იღებს: მისი პირიდან ამოდის „ჰა ჰა ჰა!" და მთელს არეს მოედება, ქარი მას შორს გიტანს, ბნელეთი ჰხარობს. ასეთს „ჰა-ჰა-ჰა"-სა და ქარის ზუზუნ-ნავარდში დაეშვება ფარდა ნელ-ნელა.

**ლეო ქიაჩელი.**

(შემდეგი იქნება)

დასტოვა თანხა 10,000 მან., რომელიც მართებს ვალად ქიათურის ერთს შეძლებულ მემამულეს. განსვენებულის აზროვნების დასახასიათებლად მოვიყვან რამდენიმე მუხლს ანდერძისას. ზემოხსენებულ თანხიდან (10,000 მან.) უნდა შეტანილ იქმნას ონის ხაზინაში 3000 მან. ხელუხლებელ თავნათ, რომლის წლიური სარგებლით უნდა გაანთავისუფლონ სწავლის ფულისაგან ღარიბნი და ნიჭიერნი მოწაფენი იმ სამოქალაქო სკოლისა, რომელიც დაარსდება დაბა ონში. ხუთ-ხუთი თუმანი შეეწიროს მისი სულის მოსახსენებლათ ველევის ეკლესიას, გელათისა და მოწამეთის მონასტრებს. ასეთია ანდერძი, მაგრამ მისი განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის მოისურვებს ხსენებული მემამულე ვალის გადახდას; ვიმედოვნებთ, რომ საქველ-მოქმედო საქმეებზე გადადებულ თანხის გადახდას მაინც არ დააგვიანებს.

გ. ქ.

# რუსეთი

### დეპ. კერენსკისა და პოლონელების ინციდენტი.

კოლომ დაბეჭდა და დაუგზავნა სათათბიროს ყველა წევრს, გარდა მშრომელი ჯგუფისა, თავის დადგენილება შესახებ იმ ინციდენტისა, რომელიც კერენსკის სიტყვამ გამოიწვია. სხვათა შორის ამ დადგენილებით კოლო შეურაცხყოფს დეპ. კერენსკის პაროვნებას: კერენსკი ისეთი კაცი ყოფილა, რომელსაც თავის პირადი ღირსებანი დაუკარგავს,— რადგანაც მან უარი გვითხრა დუელში გამოსვლისა—ამბობენ პოლონელები. ამის გამო შრომის ჯგუფს მიუმართავს კერენსკისათვის წერილით, რომელშიაც თანაგრძნობას უცხადებს ამ შეურაცყოფის გამო და ამოწმებს, რომ ის სიტყვები, რომელიც კერენსკიმ სთქვა სათათბიროს ტრიბუნიდან, მთელი ჯგუფის სიტყვები იყო, რადგანაც ჯგუფი სრულიად ეთანხმება კერენსკის სიტყვასო.

სხვათა შორის, ჯგუფი ამტკიცებს წერილში, რომ დუელს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიან გამოარკვიოს საქმე, ან გადასწყვიტოს ისეთი საკითხი, როგორიც მომხდარი ინციდენტია. სამედიატორო სასამართლო კი არ ინებეს პოლონელებმა, რომელნიც წოდებრივის (?რუ-მორწმუნოებით არიან გაჟღენთილი. წერილს ხელს აწერს შრომ. ჯგუფის წევრების სახელით ჯგუფის თავმჯდომარე ძუბინსკი.

### სომხების დეპეშა გრ. ვ. ბობრინსკისთან.

სათათბიროს წევრმა, ნაციონალისტმა გრ. ბობრინსკიმ ამ დღეებში მიიღო კავკაველ სომხებისგან შემდეგი შინარსი დეპეშა, რომელიც ბობრინსკის სიტყვას გამოუწვევია: „თქვენო ბრწყინვალებავ, ფრიად პატივცემულო გრაფო! თქვენი გავლენიანი მოწოდება თავრიდის სასახლეში მყოფ მაღალი კრებისადმი 6 ივნისს, რომლითაც მოუწოდებდით რუსეთს, დაეცვა მრავალტან. ჯული ოსმალეთის სომხები, რომელნიც ახლო დგანან თქვენთან სარწმუნეობის დოგმატებით, რუსის ხალხის მიერ არჩეულებისაგან ამ მოწოდების მხრის დაჭერა გვიწვევს ჩვენც, ქალ. კავკავში მცხოვრებ სომხებს, მივმართოთ ყოვლად უზენაესს, რათა მან მიანიჭოს სიმართლე და კეთილდღეობა იმ „თეთრ მეფეს“ და მის ხალხს, რომელიც მუდამ იცავდა დაჩაგრულ ხალხი.

ჩვენთვის საყვარელის, დიდი რუსეთის შვილთაგან კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ოსმალეთის სომხებისათვის ხელის გაწვდენა გვამხნევებს ჩვენ და იმედს გვაძლევს, რომ არ დაიღუპება ის ხალხი, რომელსაც ჰსწამდა და სწამს წინდა რუსეთის ძლიერება. თქვენს ფრაქციას, თქვენის პირით, რუსეთის, ღირსეულო შვილო, თავს მდაბლად ვუკრავთ და მადლობას ვუხდით დაუფასებელ და მძლავრ თავგამოდებისათვის; ვიმედოვნებთ, რომ თქვენში ვპოვებთ შემდეგშიაც სამართლიან დამცველს ოსმალეთის სომხებისას.

მონდობილობით: ბლადოჩინი სარიკიანი, ექიმი გასუმიანცი, სერგეი იუზბაშევი, მიხეილ ატაროვი, ექიმი მამულიანცი“.

### დაკარგული ნაპოვარი.

ვიბორგის ბავშვთა საავადმყოფოს უფროს ექიმის მოსამსახურემ იპოვნა ტყავის ჩანთა. როდესაც ბავშვმა ჩანთა ხელში აიღო, მისცვივდნენ პოლიციელები და ჩანთა ხელიდან გამოჰგლიჯეს. ბავშვმა ყველაფერი უამბო ექიმს, რომელიც პოლიციას შეეკითხა, მაგრამ ბოქაულმა განაცხადა, რომ არც ერთ პოლიციელს არ განუცხადებია მისთვის არაფერიო. ბავშვი კი ირწმუნებოდა ჩანთა პოლიციელებმა წამართვესო. როდესაც ბავშვს მთელი უბნის პოლიციელები უჩვენეს, მან ორი პოლიციელი იცნო, ამავე დროს მაძიებარ პოლიციას განუცხადა ერთმა ქალმა: დაახლოვებით იმ ადგილას, სადაც ბავშვს ჩანთა უპოვნია, ტყავის ჩანთით შვიდი ათასი მანეთი გავკარგეო.

# თეატრი და ხელოვნება

**შოთა რუსთველის საღამო ქუთაისში** კვირას, 16 ივნისს, ქალაქის თეატრში გაიმართა რუსთველის საღამო, რომელიც შესდგებოდა სამი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში რუსთველის ძეგლს მიმართა ჩვენმა მხცოვანმა მგოსანმა აკაკიმ თავისი ლექსით „სულ მნათო“ რომელმაც დიდი აღტაცება გამოიწვია; წაიკითხა აგრეთვე ლექსი „გამოცანა“ შემდეგ დავ. კლდიაშვილმა მიმართა საზოგადოებას სიტყვით, რომელშიაც გამოსთქვა ქართველი ერის სიამაყის, რუსთველის, სახელი და დიდება. მეორე განყოფილებაში გრ. რობაქიძემ წაიკითხა ლექცია „რუსთველის ხელოვნება“; მთელი ერთი საათის განმავლობაში ლექტორმა მკაფიოდ, გრძნობით და გატაცებით ილაპარაკა; ლექცია საყურადღებო იყო და დამსწრე საზოგადოება მეტად კმაყოფილი დარჩა, რის გამო მხურვალე ტაშისცემას საზღვარი არ ჰქონდა. მესამე განყოფილებაში ჩიტო შარაშიძის ასულმა წაიკითხა ნესტან დარეჯნის წერილი, გრ. რობაქიძემ კი „ტარიელის ლოცვა“, „ანდერძი“ და „შეხვედრა ავთანდილთან“. დასასრულ დადგეს ცოცხალი სურათები „ვეფხის ტყაოსნიდან“. უნდა შევნიშნოთ, რომ საღამო „შუაღამედ“ გადაიქცა, რადგან რვა საათის მაგიერ ათ საათზე დაიწყეს; ანტრაქტები მეტად გრძელი იყო და ხალხს მოთმინება გამოელია. საზოგადოება ნაკლებად დაესწრო.

ლ. ბ—ელი

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**18 თიბათვე.**

**უცხოეთი.**

**ბელგრადი.** მინისტრი იანოვიჩი ამტკიცებს ისტორიული ფაქტებით სერბიელების უფლებას მაკედონიაზე და უარჰყოფს ოპოზიციის შიშს, ვითომც არბიტრაჟი მათ სასარგებლოდ არ გადასწყვეტს. დიდი არბიტრი—ამბობს იოანოვიჩი—გადაწყვეტის დროს მიიღებს მხედველობაში ისტორიულ ფაქტებს, რომელიც ამოწმებენ სერბიელების წადილის სამართლიანობას.

ბულგარელების ნოტას საპასუხოდ, ვითომც სერბიელები და ბერძნები თავს დაესხნენ ბულგარელებს, სერბიამ ნოტითვე უპასუხა, რომ ბულგარელებმა დაიწყეს პირველად თავდასხმა და ამიტომ ყველივე პასუხის მგებლობისაგან სერბია უარს ამბობს.

**ათინა.** რადგანაც ბულგარელები ორკელი მხრივ იერიშით მოდიან, ბერძნებმა წინადადება მისცეს სალონიკში მყოფ ბულგარელ ჯარს, ერთი საათის განმავლობაში აეყარათ იარაღი. ბულგარელებმა უარი სთქვეს. ბერძნებმა სროლა აუტეხეს და იარაღი აჰყარეს ბულგარელებს. საზოგადოება აღშფოთებულია ბულგარელების მოქმედებით.

**უსკიუბი.** შეტაკება და ომი არის ოსოგოვის პლანინიდან დაწყებული გიუმენჯიმდის. ბრეგალნიცისა და სოლეტოვსკის წყლის ხეობაში აგრეთვე კრივალავოვიცას ხეობაში. დრაგოვიდან გარვანამდე სერბიელებმა შეინარჩუნეს თავისი პოზიცია. ბულგარელების იერიში გევგელაზე დასძლიეს სერბიელებმა.

**სოფია.** ბულგარეთის მთავრობამ გადასცა რუსის ელჩს მემორია ხელმწიფე იმპერატორის არბიტრაჟობის შესახებ. სოფიის მატარებელი მივიდა ცარიბროდში, მაგრამ შემდეგ ვეღარ წავიდა, რადგანაც სერბიელთა მატარებელს წაუყვანია მოსამსახურენი და წაუღია სატელეგრაფო მოწყობილებანი.

**ბელგრადი.** სერბიელთა მთავარ სარდლის ცნობით, სკოპლესთან ბრძოლის დროს ბრძოლაში მონაწილეობას 100,000 კაცი იღებდა.

**პარიზი.** პოლიციამ დაატუსაღა 12 მდივანი და ხაზინადარი მუშათა სინდიკატებისა. ამათ აბრალებენ ჯარში ურჩობის და გაქცევის იდეის პროპაგანდის გაწევას:

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** დაიჭირეს „ტრუდოვოი გოლოსის“-ის მეჩვიდმეტე ნომერი.

მემარჯვენეთა ფრაქციამ შეიტანა სათათბიროში პროექტი გლეხთათვის სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესობის, საზოგადო მყუდროების დამრღვევთა წინაამდეგ ბრძოლისა და ლოთობის წინაამდეგ ბრძოლის შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობებით რუსეთის 81 გუბერნიიდან და ოლქიდან 12 ივნისამდე მხოლოდ ოთხ გუბერნიაშია ცუდი მოსავლის მოლოდინი. დანარჩენ გუბერნიებში გვარიან მოსავალს მოელიან.

გზათა მინისტრმა მინისტერთა საბჭოში წინადადება შეიტანა, რომ აპშერონის ნახევარ კუნძულზე (კასპიის ზღვა) მთავრობამ სახაზინო ნავთის სამრეწველოები გამართოს, ამ ნავთით ისარგებლებს რუსეთის რკინის გზები. ამის გამო მან წარადგინა 1913 წლისათვის ხარჯთ-აღრიცხვა რომელიც 450,000 მანეთს უდრის. მთავრობის გამოანგარიშებით 1914 წელს ამ საქმეს დასჭირდება 2,150,000 მანეთი.

**რიგა.** სამიწათ-მოქმედო უწყების დახმარებით ეზელის კუნძულზე, ვენდენის მაზრაში და ვილდერლინგფორსში მოეწყო სასოფლო-სამეურნეო და საბაღოსნო კურსები სახალხო მასწავლებელთათვის.

**პროსკუროვი.** აფეთქდა თოფის წამლით გატენილი ყუმბარით ებრაელის სახლი, რომელიც ჩუმად თოფის წამალს ყიდდა. არის მსხვერპლიც.

# სანახაობა

### ცირკი ძმ. ეხიკოვსკებისა.

კავკავიდან დაბრუნების შემდეგ, ცირკს გაუმჯობესობა ეტყობა. მოჰმატებიათ ახალი არტისტები. მეტ ყურადღებას იქცევენ ჯამბაზი—საულიტი, ოხუნჯი რიბო, რუს-გლეხების მომღერალთა გუნდი ბალალაიკებით, ბალეტი და სხვა. ბულგარელი ქალი თამარი ძველებურად დაჰქრის ცხენზე და მით აღტაცებაში მოჰყავს მაყურებლები. ეტყობა ბატონი ხუნდაძე, ცირკის გამგე, ყოველ ღონისძიებას ხმარობს ხალხს ასიამოვნოს.

# არჩილ ჯორჯაძის ძეგლისათვის

ბ. რედაქტორო! ამასთანავე გაახლებთ ხუთ მანეთს განსვენებულ არჩილ ჯორჯაძის ძეგლისათვის [illegible] გთხოვთ გადასცეთ [illegible] სამეგრ. შემოსწირეს: ბლაღ. იოანე კანდელაკმა 2 მან. თეო კანდელაკისამ 1 მან. და ბეითალმა ალ. გურგენიძემ 2 მან.

ბლაღ. მღვდელი იოანე კანდელაკი.

# შემოწირულება

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებამ 26 მაისის სეირნობისთვის შემოწირულება მიიღო: (ქლისაბედ დარჩიაშვილის და ეკატ. ასათიანის ხელით) 1) ძმები სესიევებისაგან 17 ბოთლი სხვა და სხვა სასმელი, 2) ვერა გოოლენკომ პატარა ვაზა და სათამაშო ცხენი, 3) ვასილ მჭედლოვმა 1 სურა, 4) კატო ბატიაშვილმა 20 კაპ., 5) ივანე ვარამაშვილმა 2 ბოთლი ღვინო, 6) ელ. მეგრელიშვილმა სათამაშო კალათა, 7) „კახეთის“ ამხანაგობამ 40 ბოთლი ღვინო № 2, 8) მაღაზი ა. რუმანდი 2 კოლოფი მონპასიე, 9) ს. დ. გვარჯენაძემ 1 შუშა დუხი, 10) გ. როსტომოვმა 4 შპილკა, 11) ე. გევორკოვა 3 ცალი კვერცხი, 12) ს. ჰრელაშვილმა დასადგმელი ტაბაკი (ხელოვნური) 13) ერვანდ ანტონიანცმა სასწორი, 14) ერ. აკოფჯანოვმა სასწორი, 15) № მა ტოლჩა და სათამაშო, 16) მ. შადინოვმა 1 კოლოფი პამიდორი, 17) ეფინჯიანცმა 100 პაპიროსი „ექსტრა“, 18) ყარაევმა საშაქრე და საცხობის ამოსაღები, 19) ქანტურიამ 1 კოლოფი ბადრიჯანი, 20) თოიძემ 4 კოლოფი შოკოლადი, ნახევარ გირ. ყავა, ნახ. გირ. კაკაო, 16 ნაჭერი საპონი, 1 კოლოფი პუდრა, 21) ელენე ვაჩეიშვილმა 1 კვერცხი, 22) ივანე დოდაშვილმა ერთი ფარფორის კრუჟკა, 23) ნინო ჭრელაშვილმა 2 ჩარჩო სურათებისათვის, 24) ალავერდ სალიტიმ 1 კოლოფი კალმები და სადარბაზო ბარათები, 25 უცნობმა არდაგი, 26) კარბელაშვილმა 50 კაპ., 27) ცონგონაძემ 3 მურაბის თეფში, და ერთი ფინჯანი, 28) ს. კვინიხიძემ 50 კაპ., 29) ი. ფადავამ 1 მან., 30) ი. დანელიამ 50 კ., 31) კალანდაძემ 30 კ., 32) ი. მუმლაძემ 20 კ., 33) ან. ხუგაშვილმა 50 კ.

წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა დიდ მადლობას უცხადებს შემომწირველებს.

რედაქტორ-გამომცემელი ა ჭუმბაძე.


## მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, ჩქარი პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, სამგზ.-საბარგო ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, საფოსტო სადამ. 10 ს. 16 წ., № 8, სამგზავ. სად. 6 ს. 29 წ., № 106, ნარევი მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადმზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, საფ. დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, საჩქარო პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, სამგზ. ღამის 10 ს. 30 წ., № 107, ნარევ. მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, სახ. დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, სამგზავრ. ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ცხეთაში:** № 65, საბაგარაკო დილ. 8 ს. 46 წ., № 67, საბაგ. ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 სად. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** საფ. № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

**ყარსისკენ:** სახ. № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ. **ერევანისკენ:** № 24;23, საბარგ.-სამგზ. სად. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 11, საბარ.-სამგზ. დილ. 10 ს. 28 წ., № 7, სამგ. მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, საჩქარო— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 35 წ., № 106, ნარევ., მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, სამგზ. დილ. 8 ს. 40 წ. № 12, სამგ. შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, სამგზ. სად. 5 ს. 54 წ., № 4, საფ. სად. 9 ს. 16 წ., № 106, ნარევ. ღამ. 2 ს. 12 წ.

## მასწავლებელი

## ს. ა. გრიაზნოვი

ამზადებს გიმნაზიისა, კომერციულისა და სამოქალაქო სასწავლებლ., საოსტატო ინსტიტუტისა და აფთიაქის შეგირდად, განმეორებითი გამოცდისათვის. მსურველთ მიიღებს სრულ პანსიონზე.

ვერა, იზმაილოვის მიაზხვევი, ბელინსკის ქუჩიდან სახლი 6, ბინა 8. 325

## თელავში

კახეთის რკინის გზის ახლო იყიდება: ვენახები, სახახლე და სახნავი მიწები და გაუტეხავი ტყე.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ფოტოგრაფს ივ. ზ. ბარკალაიას ქ. თელავში. 1216

## ექიმ ნავასარდიანის

## პირველი კერძო

## სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეშხაპუნება**

**კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ავასაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10 12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. პვეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი ო. ვ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საზებიო და ქალების ავადმყ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. პვეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. 1004

## უფასო საექიმო დახმარება

### ქალაქის საბჭოს ექიმები.

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | გ. ა. გედევანიშვილი (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | მ. ი. შავერდოვი (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | ტ. მ. თათეოსიანი (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | შ. ა. მიქელაძე (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715). |
| 8—9 | ნ. დ. ხატისოვი (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | ა. ი. შჩერბინინისა (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71. |

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

კბილის ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334






Метцль 148198. 1122

## ვკისრულობთ:

**თარგმნას** სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

**კორექტურას** ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

**შესწორებას** დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

**გამოცემას** წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: ტფილისი, მუხრანის ქუჩა, „შრომის“ სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონისი. ტელეფ. 9-25.

ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.

## ვასწავლი

ქართულ „სიმღერა-გალობას“ და ვამზადებ მომღერალ - მგალობლებს გუნდისთვის. მუდმივ გუნდის მიწვევა ეკლესიებში, კონცერტებზე, პირობის გაგება, მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერა მიხეილ კავსაძესთან კვირაობით, ოთხშაბ. და შაბათობ. საღ. 5—7 სამდე. ავჭალის ქუჩა № 29. ვიღებ და ვასწავლი მუშა-ხალხსაც. ვიწვევ მგალობლებს ანჩისხატის საკრებულო ტაძარში, სადაც კვირა-უქმეებში მუდმივ გალობს გუნდი. 349.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

### იაკობ გოგებაშვილის წიგნები:

| | |
|---|---|
| [illegible] 7 კ. | Методика къ русскому Слову „ 40 „ |
| [illegible] 20 „ | Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку . „ 50 „ |
| [illegible] 5 „ | Нормальное письмо . „ 20 „ |
| [illegible] 7 „ | Правда о Тифлисѣ „ 20 „ |
| [illegible] 20 „ | О груз. и русскомъ алфавитахъ „ 20 „ |
| [illegible] 5 „ | Какъ улучшить кавк. народ шк. „ 20 „ |
| [illegible] 20 „ | Къ вопросу о мингрель. школѣ „ 20 „ |
| | Государственный языкъ. . „ 30 „ |
| | Очеркъ сравнит грамматики груз. и русск. языковъ „ 20 „ |
| [illegible] 10 „ | Къ вопросу о поднят и уровня образованія среди грузинскаго дворянства. „ 50 „ |
| [illegible] 5 „ | **ახალი წიგნები:** |
| [illegible] 5 „ | საყმაწვილო მოთხრ. ე. გაბაშვილისა „ 30 „ |
| | იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად. „ 75 „ |
| [illegible] 10 „ | ილია ჭავჭავაძის ნაწერები . „ 1 მ. |

Складъ: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

## მიტროფანე ლაღიძის და ამხ.

ფრიად სასიამოვნო ლობისათვის მარგებ სი და სურნელების

სასმელი და ჯანმრთელი საამური ვემოხილეული,

## სამკურნალო

და

## მინერალური წყალი

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად განწმენდილ მასალებისაგან, გამოხდილ და ნადუღი წყლით

**გამოცდილ სპეციალისტის ხელმძღვანელობით.**

რადგანაც ჩვენი ქარხნის წყალის ნაცვლად ხშირად დაბალ ღირსების წყალს აწვდიან პატივცემულ საზოგადოებას და აგრეთვე გავრცელებულია ჩვენი ეტიკეტის მიმსგავსებანია უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, ყურადღება მიაქციოს ბოთლებზე ჩვენს ეტიკეტს ქარხნის ნიშნით და აგრეთვე თავსაცობს ზედ-წარწერით:

**„М. ЛАГИДЗЕ“.**

**ქარხნები:** ტფილისში, გოლოვ. პროსპ., № 6, ტელეფონი № 411; ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, № 5, ტელეფონი № 151. 1214

**გამოსულია და იყიდება**

**ი. გედევანიშვილის პიესა**

## „გ ა მ ც ე მ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

## მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

## ძმ.

## ძეგველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 8.

ტელეფონი № 712.

**ახალ-ახალი**

მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

**ახალი მსხვილ მარცვლოვანი**

## ხიზილალა ქილ-ქილ

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, ჩიპა, ზურგიელები, სხვა ყოველ-ნაირი თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა და

## კონსერვები.

**გამოსულია და იყიდება**

**ნ. შიუკაშვილის**

**პიესა „მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ.

ფასი 30 კაპ.